

708 /
1984/2.

საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აკადემია



67

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია

708
1984/2

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS



ქართული
ზიზული



ალეჯური ფარდაები (ფლანგები). მარცხნივ მართა წვერანძის მოქსოვილი, მარჯვნივ იპირაულს ოჯახის კოლექციიდან.

Алванские пардаги («пласи»). Слева из коллекции Марты Цверандже, справа из семейства Ичираули.

ქეკელი ქეტიანი

კრებული სამოცამეუთხედი

სარედაქციო კომპოზიცია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭავაძე (კ/პ, მდივანი), ოთარ თავთაყვიშვილი, ირაკლი ჯაპარიანი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, ოთარ სანებლიძე, თენგიზ ჭეცაძე, ვიორჯი ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი
რედაქტორი — ოთარ სანებლიძე

Редактор серии **Ираклий Цицишвили**
Редактор **Отар Санеблидзе**

| | |
|---|-------|
| რედაქციისაკან | 5 |
| იკრინე ელიზბარაშვილი — ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია | 6 |
| ვიტორბი მარჯანიშვილი — ორი ნაკლებად ცნობილი ძველი ისტორიული პერეტიდან | 16 |
| მომღა პიორგვიძე — „მამა დავითის“ ეკლესია სოფ. კერეშთან | 22 |
| ვლადიმერ თოთიძე — გაყისმანის (გაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი | 27 |
| სირბ ლადიანიძე — თაფარავნის ზეოთიმოძღვრული ძეგლის წინასწარი შესწავლისათვის | 35 |
| თამაზ ნათიძე — ძველია დაცვის მთავარი სამართველოს მუზეუმ-ნაკრძალების მუშაობისა და მათი შემდგომი განვითარების შესახებ | 41 |
| ვლადიმერ ვარდოსანიძე — საქართველოს ქალაქების ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს დაცვის პრობლემები | 45 |
| მარინე მანისურიძე — საქართველოს ისტორიული ზღაპარების დაცვის პრობლემები | 49 |
| პაპლურ ვეველიშვილი — ზოგიერთი საკითხი სამთავროს ეკლესიის შესახებ | 52 |
| ბასარონ ნიკოლაიშვილი — არქეოლოგიური მასალები ტამალას წ. გიორგის ეკლესიიდან | 56 |
| ლავით იმინიშვილი — აღვანური ფარდაგები, „ფლახები“ და მათი ადგილი ზალიჩების ტიპოლოგიაში | 60 |
| რამაზ ჯანაშვილი — ბუნების ძეგლებს მერე უერთადდება | 66 |
| რუსუდან ვაშალომიძე — „ჩუკურთობანა“ | 69 |
| ვალენტინ ივანიშვილი — (ა. ავაქიანის 70 წლის გამო) | 71 |
| ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე | 73-79 |

СОДЕРЖАНИЕ

| | |
|--|-------|
| И. Элишбарашвили — Церковь Св. Георгия «Бзиани» | 6 |
| Г. Марджанишвили — Два малоизвестных памятника из исторической Эрети | 16 |
| М. Гиоргидзе — Церковь «Мамы-Давиды» близ села Черемы | 22 |
| В. Тотибадзе — Джакисманский монастырский комплекс | 27 |
| Ц. Даднанидзе — К предварительному изучению памятника Тапаравани | 35 |
| Т. Натидзе — О работе и дальнейшем развитии сети музеев заповедников главного управления охраны памятников | 41 |
| В. Вардосанидзе — Проблемы охраны исторически сложившейся среды городов Грузии | 45 |
| М. Майсурадзе — Проблемы охраны исторических парков и садов Грузии | 49 |
| В. Мchedlishvili — К вопросу о Мцхетской Самтавро | 52 |
| Н. Николаишвили — Археологический материал из церкви св. Георгия в селе Тамала | 56 |
| Д. Цицишвили — Алванские безворсные «пласы» и их место в типологии | 60 |
| Р. Джанашивили — Памятникам природы больше внимания | 66 |
| Р. Вашаломидзе — «Чукуртობანა» | 69 |
| Поздравляем юбиляра (А. Авакидзе — 70 лет) | 71 |
| Аннотации на русском и английском языках | 73-79 |



„ქველის მეგობრის“ წინამდებარე ნომერი დაეთმო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ძეგლთა აღრიცხვისა, კვლევისა და მუზეუმების სამმართველოს თანამშრომლებს.

17.864

აღნიშნული სამმართველო წარმოადგენს მთავარი სამმართველოს ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ რგოლს და მუშაობას წარმართავს სამეცნიერო-კვლევითი ხაზით. სტრუქტურულად სამმართველო აერთიანებს: ძეგლთა აღრიცხვის, პასპორტიზაციის და ინფორმაციის, ძეგლთა კვლევის, მუზეუმების, არქეოლოგიის, ბუნების ძეგლთა და ხალხური რეწვის განყოფილებებს. ამავე სამმართველოს დაქვემდებარებაშია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი არქეოლოგიური, ხელოვნებისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალები, აგრეთვე სათაფლიისა და ნავენახევის მღვიმეები და საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმი.

მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანების შესაბამისად ძეგლთა კვლევის, აღრიცხვისა და მუზეუმების სამმართველო აწარმოებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენას, აღრიცხვას, სააღრიცხვო ბარათებისა და პასპორტების შედგენას.

ძეგლთა მეცნიერული კვლევის ხაზით იგი აწარმოებს ძეგლების კლასიფიკაციას, პირველად დათარიღებას, განსაზღვრავს მათი ტიპოლოგიურ მიკუთვნების საკითხს, აწარმოებს ძეგლებთან დაკავშირებული მასალების შეკრება-დამუშავებასა და დაცვას. შეისწავლის ძეგლებს ადგილზე და ადგენს არქიტექტურისა და მონუმენტური ფერწერის ძეგლების სარესტავრაციო ობიექტების სატიტულო სიებს.

ძეგლთა მოვლა-პატრონობის ხაზით აწარმოებს არქეოლოგიის, ისტორიის, ქალაქმშენებლობის, არქიტექტურისა და არაფორმალური ბუნების ძეგლებზე დაცვითი ზონების დადგენას. ამუშავებს ზოგიერთი ძეგლის პრაქტიკული გამოყენების პირობებს; რესპუბლიკურ ინსპექციასთან ერთად სისტემატურ კონტროლს უწევს მუზეუმ-ნაკრძალებში შემავალ ძეგლების მდგომარეობას.

ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაციისა და კეთილმოწყობით სამუშაოებში პრაქტიკული მონაწილეობის ხაზით სამმართველო ახორციელებს არქეოლოგიურ მეთვალყურეობას არქიტექტურულ ძეგლებზე სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს, პრაქტიკულად ახორციელებს მონუმენტური ფერწერის ძეგლების ფიქანციას კალკებზე; მეთოდურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს ძეგლებზე მომუშავე სამეფო ორგანიზაციებს.

ძეგლების პოპულარიზაციის ხაზით სამმართველო ამზადებს სამეცნიერო შრომებს და სტატიებს პუბლიკაციისათვის. აწყობს მუზეუმ-ნაკრძალების მუდმივმოქმედ ექსპოზიციებს და პერიოდულ გამოფენებს. ამზადებს ძეგლთა ამსახველ ალბომებს, გზამკვლევებსა და ბუკლეტებს. ძეგლების თემაზე და ხალხური რეწვის ნიმუშებზე დაყრდნობით ამზადებს მასალებს სასუვენირო წარმოებისათვის. ატარებს ლექცია-სემინარებს და ამზადებს საინფორმაციო მასალას პრესისათვის, რადიოსა და ტელევიზიისათვის.

აქ წარმოდგენილი მასალა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ძეგლთა აღრიცხვის, კვლევისა და მუზეუმების სამმართველოს მრავალმხრივ საქმიანობაზე.



ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია

მცხეთის რაიონში, დასახლება ახალსოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან ოთხიოდე კმ-ის მოშორებით, ქართლის ქედის ერთ-ერთ მთის წვერზე, რომელიც განსხვავდება დანარჩენებისაგან მოშოშვლებული ფერდობითა და ხეებით დაფარული თხემით, მდებარეობს არქიტექტურული კომპლექსი „ბზიანი“, როგორც ჩანს, ეს სახელწოდება მან ბზის ბურქების გამო მიიღო, რომელიც მთის ფერდობის ზედა ნაწილსა და თვით ბაქანს მთლიანად ფარავენ. ბზის ვარდა აქ მრავლადაა ბებური მუხის ხეები, ისინი დღეს შენობათა ნგრევების მთავარი მიზეზი გამხდარან. ხუთა რივი ფარავს ეკლესიასაც, იგი მხოლოდ ახლოს მისვლისას უეცრად იშლება მნახველთა წინაშე, ხოლო წელიწადის იმ დროს, როცა ფოთლები დაცვენია, ეკლესიის სილუეტი მოახლოებისას მკრთალად იკითხება და ისიც მხოლოდ გაწაფული და, მომლოდინე თვალისათვის.

„ბზიანი“ წარმტაც ადგილას არის გაშენებული; მისგან ჩრდილოეთით ხელის გულზე იშლება ქართლის ამ მხარის სწორი ველი და აქა-იქ გაფანტული სოფლები, სამხრეთით კი ხევი და ტყით დაფარული მთები.

კომპლექსი შედგება ორი ეკლესიისა და გალავნის ნაშთისაგან. მისი ეზოს უსწორმასწორო ზედაპირი მიგვანიშნებს, რომ გათხრების შედეგად აქ შეიძლება სხვა ნაგებობებიც აღმოჩნდეს. მთავარი შემოსასვლელი კომპლექსის ჩრდილოეთიდან უნდა პქონოდა, რაზედაც ბზის ნაშთი მიგვითითებს. სადღეისოდ, ვიწრო ამოსავალი ბილიკი მას ჩრდილო-დასავლეთიდანაც უდგება. პირველად, ამოსვლისთანავე თვალში გვხვდება თლილი ქვის კვადრებით ნაგება ორნავეიანი ეკლესია, რომელიც ბაქნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და პირველი შეხედვისთანავე თავისი იერიითა და ფორმით ადრეულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მეორე — დარბაზული ტიპის ეკლესია, უფრო გვიანაა ნაგები ქვისა და აგურის შერეული წყობით. იგი ბაქნის სიღრმეში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს არის მოქცეული. ეკლესია ძალზე დანგრეულია, მის აფსიდსა და სარკმლებში ფერწერის ნაშთია შემორჩენილი.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ადრეული ორნავეიანი ეკლესია, რომელიც ნაგებია ყვითელი ფერის თლილი ქვიშაქვით, ვარდა ქვიშაქვისა დალბების, კონქის ზედა ნაწილის, კამარის, სამსხვერპლოს კარის არქიტრავისა და ცენტრალური ნავის კაპიტელებისათვის გამოყენებულია შირიმი. „ბზიანის“ ეკლესიის მთავარი ნაეი უფრო განიერია და მაღალი, ჩრდილოეთისა კი დაბალი და ვიწრო. ნაეია გასაყარზე დგას ოთხკუთხა ბურჯი, რომელსაც ეყვარება მათი გამყოფი თალები. თალები ეყრდნობა კაპიტელებს, რომელთა პროფილი ერთიმეორისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. ჩრდილოეთის ნავის აღმოსავლეთ მხარეს გამოყოფილია სამსხვერპლო, რომლის ერთადერთი კარი აკავშირებს მას ცენტრალური ნავის აფსიდისწინა სივრცესთან. ცენტრალური ნაეი პილასტრების ორი წყვილით სამ არა ტოლ ნაწილად იყოფა და აღმოსავლეთით ნახევარწრიული, მონაღისებრო აფსიდით სრულდება. მსგავსი მოყ-

ვანილობისაა კონქიცა და თაღებიც. ეკლესიის მთავარი სივრცე განათებულია ორი, აღმოსავლეთისა და სამხრეთის სარკმლითა და დასავლეთის შემოსასვლელი კარით. ინტერიერის ერთადერთი სამკაულია ნავთა გამყოფი ბურჯის აღმოსავლეთი კაპიტელი, რომელიც ორი ერთმანეთზე დადებული გრებილით დამუშავებული ლილვითაა შედგენილი.

ეკლესიის ვარე ფორმები ეპასუხება შიდა მოცულობას: მთავარი ნავი გადახურულია ორქანობიანი სახურავით, ჩრდილოეთისა კი ცალი ქანობით. დეკორაციული ელემენტები აქვს ძუნწად არის ნახმარი. მთავარ ნავს მაღალი, ფოსოიანი კარნიზი ავეირვევინებს, ჩრდილოეთისას, კი ორი ერთიმეორეზე გადაებული თარო. ერთადერთი დეკორაციული აქცენტი აღმოსავლეთი ფასადის საკურთხეულის სარკმლის თავსართი, რომელიც წარმოადგენს ოთხსაფეხურიან ფილას ზედა საფეხურზე ამოყვანილი წარბით.

ქველამ ჩვენამდე ძალზე ცუდ მდგომარეობაში მოაღწია. გადახურვა, გარდა ჩრდილოეთ ნავის კამარისა, მთლიანადაა განადგურებული. ქველის ოთხივე კედელს ბზარი დაუყვება. საპირე ქვა ნაწილობრივ გამოიფიტა, ზოგან დაშლილი და ამოვარდნილიც კია; სიძველისაგან პერანგის ქვამ ფერიც იცვალა და თითქმის მთლიანად დაიფარა ლაქებით. ეკლესიის ორივე ნავის ზედა ნაწილი დაფარულია ხეებით, ბალახითა და ხავსით.

„ბზიანის“ წმ. გიორგის ეკლესია ორჯერ იყო შეკეთებული, ამ შეკეთებებს შორის უნდა ყოფილიყო აგებული, აწ თითქმის მთლიანად დანგრეული, დასავლეთის მინაშენი. ეკლესია, პირველად მაშინ უნდა აღედგინათ, როდესაც ააგეს კომპლექსის მეორე ეკლესია და გალავენი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთი ფასადის გამამაგრებელი კონტრფორსის წყობის ხასიათი ქვისა და აგურის მონაცვლეობა და აგურის ზომა (24x4 სმ) იგივეა, რაც დარბაზული ეკლესიისა. მეორედ, დაახლოებით XIX ს-ის ბოლოს. ბზარები, დასავლეთის კარი და დასავლეთი მინაშენის კედლის ლიობი ამოვსებული იყო ქვითა და აგურით, ინტერიერში გამაგრებული იყო ბურჯი და როგორც ჩანს, იმავე დროს ეკლესია შელესეს კიდეც. ეს უკანასკნელი შეკეთება ბევრად უფრო უხეშია, ვიდრე პირველი, სადაც კონტრფორსის აგურის წყობასაც მხატვრული ღირებულება ენიჭება.

ეკლესიამ საკმაოდ კარგად შემოგვინახა თავისი პირვანდელი სახე-არქიტექტურული ფორმები და დეკორი, რაც ხაშუალებას გვაძლევს ქართული არქიტექტურის ევოლუციაში წმ. გიორგის ეკლესიასაც გარკვეული ადგილი მიუჩინოთ.


„ბზიანის“ წმ. გიორგის ეკლესია გ. გაფრინდაშვილმა და ნ. ჩუბინაშვილმა ვარაუდით VII-VIII სს მოჯნას მიაკუთვნეს¹. ჩვენი ძველის ფორმათა და დეკორის დაწვრილებითმა განხილვამ თარიღი უფრო დააკონკრეტა (VIII ს.), თუმცა, როგორც შემდგომ დავინახავთ, სივრცის გადაწყვეტასა და ცალკეულ მომენტებში, ოსტატი ჯერ კიდევ ვერ ელევა მასში გამჯდარ კლასიკურ ტრადიციებს.

ეკლესიის თარიღის დადგენაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამშენებლო ტექნიკა და საშენი მასალა. კედლების შიდა და ვარე პირი ამოყვანილია ერთმანეთთან კარგად მორგებული ქვიშაქვის კვადრებით, რომელთა შორის ჩასხმულია ქვაგარეული დულაბი. ამოვსება კვადრებს შორის უნიშ-



ზიანი, ინტერიერი. დასავლეთის შესასვლელი. Бзანი. Интерьер, западный вход.

ენელო სისქისაა, ხოლო თვით კვადრები სქელი. აქედან გამომდინარე მათ არა მარტო დეკორაციული, კედლის მოპირკეთების ფუნქცია აკისრია, არამედ პირველ რიგში კონსტრუქციული. ამგვარი სტრუქტურის კედლები უფრო ხშირად ადრეულ ხანაში გვხვდება (მცხეთის ჯვარი, სამწყვროსი, ატენის სიონი და სხვა). ამასთანავე ინტერიერში ყველა თალი, კონქი და კამარა შირიმით არის ნაგები. საშენი მასალის ასეთი გამოყენება ქართლში მხოლოდ გარდამავალ ხანაში VIII-IX სს გვხვდება. (ქსნის ხეობის ძეგლები: არმაზი, წირქოლი²²) ასევე VIII-IX სს გვხვდება. დამახასიათებელია კონქის, თაღებისა და აფსიდის ქვედა ქვების მეშვეობით მიღებული ნალისებურობაც. თუ ადრეულ ძეგლებში ნალი მკაფიოდაა მოხაზული, გარდამავალ პერიოდში თალის მოხა-



ბზიანი. ნათა ვამულო დისავლეოს თაღი.

Бзiani. Западная арка делящая нефы.

ბზიანი. აღმოსავლეთი სარკმლის თავსართი.

Бзiani. Наверхие восточного окна.






ზვიანი, სამხრეთი ფასადის შპარი და კონტრფორსის ფრაგმენტი.

Бзиани. Трещина западного фасада и фрагмент контрфорса.

ზულობა არსებითად ნახევარწრის ფარგლებში რჩება. ნაღისებურობა აქ მიღებულია საწყისი ქვების ან რამდენიმე რიგის შიგნით შეწყვეით.

თარიღის დასაზუსტებლად არანაკლებ მნიშვნელოვანია სარკმლის თავსართი. ქართული არქიტექტურის ისტორიაში თავსართს თავისი მათარიღე-



„ბზიანის“ წმ. გიორგის ეკლესია. გეგმა.

Бзвანი, план.

„ბზიანის“ წმ. გიორგის თავსართის ფორმა და პროფილი სადაა. ქვის ბელი ქრონოლოგიური საზღვრები აქვს. დაწყებული ადრეული ძეგლებიდან X საუკუნემდე თავსართი სარკმლის გაფორმების თითქმის უცვლელი და აუცილებელი ელემენტი იყო. პირველი ცდები თავსართის საპირეთი შეცვლისა ჩვენ IX ს ბოლოსა და X ს დასაწყისში გვხვდება (ბიეთი IX ს³, ხეითი X ს-ის I ნახევარი⁴), ხოლო ჩამოყალიბებული სახით საპირე პირველად წარმოდგენილია X ს-ის კუმურდოს ტაძარში⁵. კუმურდოს შემდეგ, ეს არქიტექტურული ელემენტი საუკუნეთა მანძილზე მუდმივად იხმარება. აქედან გამოიძინარე, ჩვენ ეკლესიაზე თავსართის გამოყენება მიგვანიშნებს, რომ იგი აგებულია არა უგვიანეს X ს-ისა, ხოლო ამ თავსართის ფორმისა და პროფილის განხილვა კიდევ უფრო მჭიდროდ შემოფარგლავს ქრონოლოგიურ წრეს. ფილა, რომელშიც სარკმლის თაღოვანი დაგვირგვინებაა ამოკვეთილი, ორ სიბრტყედაა დიფერენცირებული. ფილის ქვედა ნაწილი კედლის სიბრტყესთანაა გათანაწორებული, ხოლო ზედაზე, რომელიც სიბრტყიდან ამოწეულია, შეუძლებელი წარბია ამოკვეთილი, ეს უკანასკნელი ამ საფეხურის მონახულობას იმეორებს.

საფეხუროვანი თავსართი ჩვენ ადრეულ ძეგლებშიც გვხვდება. მაგალითად, სამსაფეხურიანი თავსართებია აკვანებაში (VII ს),⁶ თეთრიწყაროსა და ოლთისში (VI-VII სს)⁷. VIII ს. სამშვილდის სიონში⁸, ორსაფეხუროვანი წარბის ზედა, ფართო საფეხურის ზედაპირი ორნამენტირებული ზოლით არის დაფარული. ადრეული ძეგლებისაგან განსხვავებით ამ ნიმუშში სამსაფეხუროვნება ორი საფეხურით არის შეცვლილი. თუმცა მსგავსად ადრეული ნიმუშებისა აქ საქმე



გვაქვს ჯერ კიდევ საფეხუროვან ფორმასთან. ზედა, ფართო საფეხურის ზედაპირი ორნამენტრებული ზოლით არის დაფარული. სამშვილდენისა და მშვილდენის თავსართს აახლოვებს ორსაფეხუროვნება, რაც „ბზიანში“ იცვლება. ამ უკანასკნელში წარბი მოთავსებულია სარკმლის შემომფარველელი ფილის ამალელებულ ზედაპირზე და საკმაოდ რელიეფურად არის მასზე ამოწეული. ის, რაც ჩვენ ერთის შეხედვით შეიძლება წარბის ქვედა ნაწილად მოგვეჩვენოს, სინამდვილეში სარკმლის დამავეირგვინებელი ქვის ზედაპირის მონაკვეთია. შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ გვაქვს „ორმაგი წარბი“, ვინაიდან წარბისა და მის ქვეშ მოთავსებული სიბრტყის დარჩენილი მონაკვეთის სივანე ტოლია და იქმნება ორი ერთმანეთის თავზე მოთავსებული წარბის შთაბეჭდილება; სინამდვილეში, „ორმაგი წარბი“ აქ მკვეთრად გამოვლენილი არ არის, იგი მხოლოდ ვიზუალურად აღიქმება. ამ ფორმის გამოყენება ქართულ ქრისტიანულ სუროთმოდლებში ქრონოლოგიურად შემდეგ ეტაპს ეკუთვნის.

როგორც დავინახეთ, არც საფეხუროვნება, რომელიც ადრეულ VI-VII სს ძეგლებს სარკმლის თავსართს ახასიათებდა და არც IX-X სს. დამახასიათებელი „ორმაგი წარბი“ ჩვენ ძეგლში დამოუკიდებლად არ არსებობს. ეკლესია მოქცეულია ამ ორ ქრონოლოგიურ საზღვარს შორის (VI-VII და IX სს.) და მასში მოცემულია ორივეს ელემენტები, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ეს არის VIII ს. ნიმუში, რომელმაც გააერთიანა თავის თავში ერთის მხრივ ადრეული, უკვე ცნობილი საფეხუროვანი თავსართის მოტივი და მეორეს მხრივ ჩანასახში მოგვცა „ორმაგი წარბი“. ამას თითქოს ისიც ასაბუთებს, რომ ყველაზე მეტი მსგავსება „ბზიანს“ ზუსტად დათარიღებულ სამშვილდეს სიონთან აქვს.

წმ. გიორგის ეკლესია ნაკლებად არის მორთული, შთაბეჭდილება შენობის გარე ფორმებისაგან გაპირობებულია უმთავრესად მის ფასადთა პერანგის წყობით. საკმაოდ სწორ რიგებად დაწყობილი დიდი, თლილი კვადრები მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. დეკორის სიმცირე მათ უფრო ასექტურ იერს ანიჭებს, განსაკუთრებით ყრუ და მკაცრი დასავლეთის ფასადი, რომლის წყობის რიგს მხოლოდ მცირე ზომის შესასვლელი კარი არღვევს. ეს უკანასკნელი ფასადის ერთიან სიბრტყესთან შედარებით უმნიშვნელოა. მხატვრული ზემოქმედების ძალა შენარჩუნებული აქვს საკმაოდ სწორ რიგებად გამოყვანილი ქვის წყობის მონოლითურ ზედაპირს, რომელიც ზემოდან პროფილირებული კარნიზით არის დავვირგვინებული.

ჩრდილოეთის ფასადი უფრო ცოცხალი და დანაწევრებულია. აქ კარის ღიობი ფართოა და დაბალი, ჩრდილოეთ კვადრით შეფარდებით იგი უფრო მკვეთრად აღიქმება, თუმცა დეკორაციული სამკაული ფასადს არ გააჩნია, მასზე მასათა მონაცვლეობა (დაბალი ჩრდილოეთის ნაეი და მაღალი ცენტრალური) და ორ რეგისტრად გამავალი კარნიზი, რომელიც ამ ორ ნავს გარს ერტყმის — უფრო ცოცხალ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩრდილოეთის კარის ოდნავ დასავლეთით გადაწყვეა არ არღვევს ფასადზე გაწონასწორებულობის შთაბეჭდილებას. ფასადის ცენტრალური ნაწილი იზოდავს მნახველის ყურადღებას. იგი, ისევე როგორც ყველა დანარჩენი, თავისთავში დასრულებულად აღიქმება.

არანაკლებ საყურადღებოა აღმოსავლეთის ფასადი. ეს განპირობებულია,

ერთის მხრივ, აღმოსავლეთის ფუნქციონალური მნიშვნელობით, მეორე იმიტომ ამოსავალი ბილიკი ძველს სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან უდგება და ეს ორი ფასადი ერთდროულად იძლევა მნახველის წინაშე, ფასადი ერთიანად აღიქმება. მთელი ყურადღება ეპყრობა ცენტრალური ნავის სარკმელს, რომლის თავსართი ერთადერთი დეკორატიული აქცენტია. თავსართის სადა ფორმები პახუხობს ეკლესიის გარე სახის საერთო მკაცრ და მშვიდ სასიათს.

სამხრეთით, ეკლესიის კედელი ხვეის პირზეა ამოყვანილი, რის გამოც სამხრეთის ფასადი ერთიანად ვერ აღიქმება. მას მხოლოდ რაკურსში ან ნაწილ-ნაწილ შევიცნობთ, ამიტომაც, ეს ფასადი სრულიად სადა და დაუნაწევრებელია.

ამგვარად, ფასადთა ძუნწი გაფორმება და დეკორის სიმცირე არ უკარგავს ეკლესიის გარე იერს მხატვრულობას, პირიქით, მცირე სამუალებებით ოსტატმა შესძლო მონუმენტულობის, სიმკაცრისა და ასკეტურობის შთაბეჭდილების შექმნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ფასადი დამოუკიდებლად აღიქმება, ხოლო ერთიანი წყობა, ქვის ფერი და რაც მთავარია, საერთო განწყობა, და ხასიათი აერთიანებს მათ.

წმ. გიორგის ეკლესიის ინტერიერში ყველა მთავარი ელემენტი მკვეთრად იკითხება. ნათალი ქვიშაქვის სწორი რიგებით ამოყვანილი ზეახიდული პილასტრები და კედლები — მონუმენტურობას ანიჭებს ეკლესიის შიდა სივრცესაც. აქაც, ისევე როგორც ფასადებზე, უპირატესობა მთავარ ნავს ენიჭება. ჩრდილოეთი ნავის სიბნელე და სივიწროვე ხელს არ უშლის მთავარის აღქმას. ამასვე ემსახურება დაბალი, ნავთა გამყოფი თალები, რომელნიც კი არ აერთიანებენ ამ ორი ნავის სივრცეს, არამედ პირიქით, თიშავენ მათ, ყურადღების კონცენტრაცია ხდება თითოეულ ნავში ცალ-ცალკე. პილასტრთა პროპორციებს, ნავის სიმაღლისა და სივრცის შეფარდებას სიმშვიდე შეაქვს ინტერიერში. პილასტრთა რივი კედელს სამ არატოლ ნაწილად ყოფს. მონაკვეთთა ზომის ცვალებადობა უფრო ცოცხალ და დინამიურ რიტმს ქმნის.

იმისდა მიუხედავად, რომ ინტერიერში, ისევე როგორც ფასადებზე, გაფორმების ელემენტები ძუნწად არის ნახმარი, თავისებური აჩქარებული რიტმი და განათების სისტემა უფრო ცოცხალს ხდის შიდა სივრცეს. (თუ საკუროთხველისა და სამხრეთის სარკმელი ჩვეულებისამებრ სხვადასხვა დონეზეა განლაგებული, დასავლეთის სარკმელი საერთოდ არ არის და შუქი კედლის ქვედა ნაწილიდან (კარებიდან) იჭრება, რასაც განათების ერთგვარი ცხოველხატულობა უნდა შეექმნა). თუმცა, საბოლოოდ სივრცის მთლიანობა, გამართული წყობა, პილასტრთა და სხვა დეტალთა მწყობრი პროპორციები მაინც უფრო მეტად სიმშვიდისა და სიმკაცრის განწყობას ქმნის.

„ბზიანის“ წმ. გიორგის ეკლესიის სივრცის გადაწყვეტასა და მთავარ ფორმებში მკვეთრად იგრძნობა ორი სტილისტური საწყისი — კლასიკური ტრადიციები და ცხოველხატულობის შეგრძნება. ამ სტილისტიკურ გასაყარზე შეტყვევებს დასავლეთის შესასვლელიც, რომელიც მთავარი ნავის ცენტრიდან ოღნავ ჩრდილოეთით არის გაჭრილი. გეგმით ეს შეიძლება შიდა სივრცის სი-



მეტრიის დარღვევად ჩაითვალოს, ანდა ახალ, ცხოველხატულ ძიებად გამოვლენად; მაგრამ ჩვენის აზრით, აქ ხუროთმოძღვრის წინაშე სხვა ამოცანა იდგა: კარის ჩრდილოეთით მცირე გადახრა არ ცვლიდა შესვლისას შთაბეჭდილებას, არც ძალიან შესამჩნევი იყო, განსხვავებით ფასადისაგან, სადაც ორივე ნავის წყობა გავრთიანებულია და ამ შემთხვევაში კარის ადგილმდებარეობის განსაზღვრა განსაკუთრებით თვალშისაცემი და მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ ხუროთმოძღვარი ერთგვარ კომპრომისზე წავიდა. კარის ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გაწვეით თავიდან აიცილინა ფასადზე კომპოზიციის ასიმეტრიულობა და ასევე არც შიდა სივრცეს ავნა. აქედან გამომდინარე ეს მომენტიც არ შეიძლება ჩაითვალოს გარდამავალი ხანის ცხოველხატულობის მანიშნებლად, იგი პირიქით, უფრო კლასიკური გაწონასწორებისაკენ ისწრაფვის.

გვემაში კომპოზიციის პირველშეხვედვისთანავე ასიმეტრიულ შთაბეჭდილებას ტოვებს. თაღებით შეერთებული ორი არატოლფასოვანი ნავის გვერდ-გვერდ არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს მნახველის ყურადღების გაფანტვა და მთავარ სივრცის გაშლა. „ბზიანის“ წმ. გიორგის ეკლესიაში სივრცე სხვაგვარად არის გადაწყვეტილი; ჯერ ერთი იმიტომ, რომ მთავარი კარი ვაჭრილია ჩრდილოეთ კედელში და მდებარეობს ნავთა გამყოფ ალმოსავლეთის თაღის ღერძზე (შემოსასვლელის დასავლეთი და გამყოფი ბურჯის ალმოსავლეთით მხარეები ერთ ხაზზეა მოცემული). ვინაიდან მანძილი კარიდან თაღამდე მცირეა, თაღი აგრძელებს შესასვლელს. მნახველი შესვლისთანავე ამ ნაწილს აღიქვამს როგორც ერთგვარ ბჭეს, პირველად ინსტანციას მთავარ ნავში მისასვლელად. ჩრდილოეთის ნავის სიბნელე და სივიწროვე უფრო აძლიერებს ამ შეგრძნებას. დასავლეთის კარი ნაკლებად მნიშვნელოვანია, რაზედაც მისი ზომები მეტყველებს. ამისდა მიუხედავად, ეკლესიაში ამ მხრიდან შესვლისას გვერდითი სივრცე სრულებით არ უშლის ხელს ცენტრალურის აღქმას. ჯერ ერთი, თავისთავად ცენტრალური ნავის მაღალი აზიდული ფორმები, მეტი განათება და ვრცელი სივრცე — იზიდავდა მნახველის ყურადღებას, მეორეც, შესვლისთანავე მზერა აბსიდისაკენ არის მიმართული, ვინაიდან ჩრდილოეთის ნავი ბნელია, ხოლო ნავთა გამყოფი თაღები დაბალი, ისინი აღიქმებიან როგორც გრძივი ღერძი, რომელიც აფსიდისაკენ უფრო დინამიურ სვლას ქმნის.

სივრცის განხილვისას, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცენტრალური ნავი დომინირებს, როგორც თავისი ზომებით ასევე სივრცითაც და მასთან შეფარდებით ჩვენ ჩრდილოეთის ნავს სრულიად არ აღვიქვამთ, მას მხოლოდ გავდივართ, თუ შენობის კომპოზიციის ასიმეტრიული და ცხოველხატულია, სივრცობრივად, დამატებითი სივრცე ნაკლებად აღიქმება და მთავარი ნავი მთლიანობაში, ერთიანად, თავისთავში დასრულებულად იკითხება.

ძველის მხატვრული ანალიზი, ფორმათა და დეკორის განხილვა მას გარდამავალი პერიოდის საწყის საფეხურზე VIII ს.-ში ათავსებს. თუმცა ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია მაღალი რანგის პროფესიონალი ოსტატის შემოქმედების შედეგი არ არის, რაც მცირე დეტალების დამუშავებაში ვლინდება, ეს არ უკარგავს ძველს მხატვრულ ღირებულებას.



მუდრო ადგილი, რომელიც შეურჩევიათ მისთვის და ეკლესიის ზომების შეუმჩნეველს ხდიდნენ მას. შეუმჩნეველი დარჩა ის ბევრი მოგზაურისა და მკვლევარისათვის და ახლა, როცა მისი შესწავლის შესაძლებლობა მოგვეცა, ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ თუმცა იგი ისტორიული ქართლის არქიტექტურის განვითარებას თავისი ფორმითა და დეკორით არსებითს არაფერს მატებს, მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ტიპის ეკლესიის განვითარების ისტორიაში, როგორცაა ხადლეისოდ ნაკლებად ცნობილი ტიპი — ორნავიანი ეკლესიისა.

¹ ნ. ჩუბინაშვილი, გ. ვაფრინდაშვილი „ქვევის წმ. გიორგის ეკლესია სოფ. ტაბაკინში“ „ქვევის მეგობარი“, № 12, გვ. 28, თბ., 1969.

² Г. Н. Чубинашвили, «Вопросы истории искусства», т. I, Тб., 1970, გვ. 145.

³ Р. Мелисашвили, В. Цицадзе. «Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шida Kartli». 1975, გვ. 36, ფ. 27.

⁴ იქვე, გვ. 49, ნახ. 1.

⁵ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

⁶ Ars Georgica № 2, თბ., 1948, ტაბ. 25.

⁷ იქვე, გვ. 61, ნახ. 22; გვ. 35, ნახ. 9.

⁸ Н. Г. Чубинашвили, «Самшвядский Слон», Тб., 1969, გვ. 14, ტაბ. 2—4.

⁹ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. Р. Шмерлинг, Т. Барнавели «Церковь св. Нины в Тхоти».

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების მოამბე“, თბ., 1963, გვ. 162-163.

ორი ნაკლებად ცნობილი ქველი ისტორიული პირობიდან

ქართულ წყაროებში პერეთის სახელით მოხსენიებული კავკასიის ერთ-ერთ ოლქში აგებული არქიტექტურული ძეგლებიდან დღეისათვის უკვე მრავალი ცნობილი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანიც, როგორცაა სოფ. ლექითის (ლექართის) „მრგვალი ტაძარი“, დიდი სამნავიანი ბაზილიკა სოფ. ყუმში, ეკლესიები ვიში, ზედგზითში (ზეიგით), ბაზარში (ზაგემი, ბახთალო) და ა. შ. მაგრამ ამ მხარის ისტორიისა და კულტურის მკვლევართა ერთგვარ უგულისყურობად მიგვაჩნია აზერბაიჯანის სსრ კახის რ-ნის უკვე ნახსენები სოფ. ლექართის მახლობლად არსებული კომპლექსის ამსახველი მასალისა და არქიტექტურული ანალიზის უქონლობა¹.

მონასტერი აგებულია მდინარე ლექართის წყლის (ლექით – ჩაი) ცხოველხატული ხეობის ნაპირზე. მისკენ მიმავალი გზა გაივლის მთავარ კარიბჭეს; ოდნავ მოუხვევს და აღმოჩნდება რამოდენიმე შენობისაგან შემდგარი კომპლექსის ცენტრში. მონასტრის ბირთვი წარმოქმნილია ორი დიდი გუმბათიანი და სამი მცირე დარბაზული ეკლესიის ნანგრევებისაგან. ბირთვისადმი მიმდებარე ბორცვებზე დარჩენილია სამეურნეო ტერასების, მიწაში ამოყვანილი სათავისის, „დარბაზის“, მარნისა (სატრაპეზო?) და მცირე კარიბჭის ნაშთები. სამონასტრო კომპლექსის აღნაგობა ცხადია. ძირითადი ნაგებობები (ეკლესიები) მდებარეობენ დაბლობზე, რის გამოც ნათლად გამოიყოფიან შემადგენელ ნაგებობებსა და მცირე სამეურნეო ნაგებობებისაგან.

საკუთრივ საეკლესიო ნაგებობათაგან ყურადღებას იპყრობს ორი დიდი საყდარი. გზიდან დასავლეთისაკენ მდებარე ერთი მათგანი, როგორც ჩანს იყო უვარგუმბათოვანი, გვეგამოი წაგრძელებული შენობა სამი შვერილი ნახევარწრიული აფსიდით. ეკლესიის გუმბათი ეფუძნებოდა ორ, კვადრატს მიხსლოებულ კვეთის ბურჯს და აფსიდის კუთხეებს. ნაგებობის ძირითად სივრცეს დასავლეთიდან ეკვროდა სწორკუთხა ნართექსი. ეს ორი სივრცე ერთმანეთს უკავშირდებოდა ძირითადი დარბაზის ჩრდილო და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში გაჭრილი კალების მეშვეობით. აღმოსავლეთიდან ეკლესია სრულდებოდა განვითარებული სამნაწილიანი საკურთხევლით. დიდი ცენტრალური აფსიდა ნათდებოდა სამი სარკმლის მეშვეობით. ღრმა ბემის კედლებში გაჭრილი ორი კარი აერთიანებდა საკურთხევის სამივე ნაწილს. პასტოფორიუმები წარმოადგენდნენ აღმოსავლეთიდან ნახევარწრიული აფსიდებით დასრულებულ, გვეგამოი კვადრატს მიხსლოებული მოხაზულობის მქონე სათავსებს. ძირითად დარბაზს ისინი დასავლეთის კედელში მოწყობილი კარების მეშვეობით უკავშირდებოდნენ. ძირითადი სივრცის ჩრდილოეთ კედელს ეტეობა გადაკეთების ნათელი კვალი. ნართექსის კუთხიდან იწყება დიდი თალი, რომელსაც მოხდევს ორი ვიწრო და მაღალი თაღოვანი ღიობი. თალიც და ღიობებიც მოგვიანებით ამოვსებულ იყო. საინტერესოა, რომ ამ ფორმების კვალი ვარდნად არა ჩანს. ეკლესიის მთავარი შესასვლელი სამხრეთიდან არის მოწყობილი. ძეგლის გაუწმენდავად არ ირკვევა მქონდა თუ არა მას დასავლეთის კარი. საყდარი აღმართულია ორსაფეხურიან ზეპირკველზე. იგი აგებულია უხე-




მად დამუშავებული ადგილობრივი ჯიშის ქვისაგან. კუთხები და ამოშენებუ
ლი ლიობების ნაპირები შირიმის თლილი კვადრებით არის ამოყვანილი.

აღნავობით, ერთის მხრივ ნართექსით, ხოლო მეორეს მხრივ განვითარებული სამნაწილიანი საკურთხევლით დასრულებული ძირითადი დარბაზით, ეკლესია უახლოვდება ე. წ. ვარდამავალი ხანით (VIII-X სს) დათარიღებული ქართული ძეგლების ფართო წრეს. მისი ცალკეული ანალოგები განვითარებულ შუასაუკუნეებშიც იძებნება. საინტერესოა, რომ უშუალო პარალელები ცნობილია ისტორიული საქართველოს-ქერეთისათვის უშორეს პროვინციაში-აფხაზეთის სამეფოში. ესაა IX-X სს. ეკლესიათა ჯგუფი - ბზიფი, მოქვი, ლინსენი, ანაკოფია, ხოლო ბიჭვინთა (X ს) და ანაკოფია აღწერილი ეკლესიის ნაშენი ანალოგებს წარმოადგენენ. გეგმის მსგავსი გადაწყვეტა გვხვდება თბილისის მეტეხის ტაძრის ძველ ფენაში (X-XI სს) და უფრო გვიან გელათში, მონასტრის მთავარ (აგებულია დავით აღმაშენებლის სიციხეებში) და წმ. გიორგის (XIII ს.) ეკლესიებში. ლექართისათვის ესოდენ დამახასიათებელი ნაწილები, როგორცაა შენობის ზოგადი მასივიდან გამოყოფილი სამნაწილედ დასრულებული და ნართექსი მუშავდებოდა ტაო-კლარჯეთში და კახეთში. ამას ადასტურებს ნართექსი იყალთოში (დაახლოებით VI ს. შესამე მეოთხედი), გურჯაანის ყველაწმინდის გამოცალკევებული დასავლეთის სადგომი (VIII ს), ზაქის აღმოსავლეთი ნაწილი (X ს მეორე ნახევარი), ვაჩაძიანის ყველაწმინდა (IX ს), ბოდბე (არუგვიანეს IX ს), ისი (VIII-IX სს) და მოგვიანებით სანაგირე (XI ს.). ეკლესიის უშუალო ანალოგების წრე იკვრება ქერეთის მეზობლად მდებარე პროვინცია კახეთში (ოზანი IX ს.). ამ ძეგლში თითქმის სრულადაა განმეორებული ლექართის ეკლესიის გეგმა. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება დაფიქსიროს მასში, რომ ოზანის ამბლუბას არა აქვს ნართექსი. ამრიგად მკაფიოდ იფარგლება იმ ძეგლთა წრე, რომელსაც ეკუთვნის ლექართის მონასტრის ძველი ეკლესიაც. დაახლოებით დგინდება მისი აგების დროც, კერძოდ X-XI სს., ეპოქა რომლისთვისაც მსგავსი გადაწყვეტა ტიპურად შეიძლება ჩაითვალოს (ანაკოფია, ბიჭვინთა, მეტეხი), შემდგომ საუკუნეებში ასეთი ნაკლებობა გამოწვევის სახით გვხვდება (გელათი). სწორედ ადრეულ ხანაზე მიუთითებს ერთის მხრივ გეგმის დამოკლების ტენდენცია, გუმბათქვეშა ბურჯების რაოდენობის შემცირება, რაც ბარაღელს პოულობს VIII-IX სს კახეთის რამოდენიმე ძეგლში (მაგ. ბარცანა ოზანი) და მეორეს მხრივ XII-XIII სს-ში უცნობი ნართექსის არსებობა. მაგრამ ბარცანასა და ოზანისაგან განსხვავებით, რომელთათვისაც დამახასიათებელია ადრეფეოდალურ ხანაში გავრცელებული თალებისა და აფსიდების ნალისებრი ფორმა, აქ უგამონაკლისოდ ნახვარწროული თალებია გამოყენებული, რაც X-XI სს. სასარგებლოდ მეტყველებს.

მონასტრის მეორე, ზემოთ აღწერილიდან აღმოსავლეთით მდებარე ეკლესიაც ჩაწერილი ჯერის ტიპისაა. გეგმაში ოგი წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომლის ფარგლებშიც ექვევა განვითარებული სამნაწილიანი საკურთხევლი. ეკლესიის გუმბათი უკრძნობოდა რთული მოხაზულობის ორ ბურჯსა და აფსიდის კუთხეებს. ბურჯებს დასავლეთისაკენ წაგრძელებული ნაწილები გააჩნიათ. გუმბათისა და კამარების ჩამოცვენილი ნაწილები ხელს უშლიან საყრდენებისა და დასავლეთ კედლის ვადაბმის ხასიათის გარკვევას.

17864

საქ. სსრ კ. მარტოვი
სამ. სპ. რედაქცია
ბიბლიოთეკა




ლექართის მონასტრის პირველი ეკლესია. კრი-
ლო ჩრდილოეთით.

Leqartsi. Первая церковь, разрез к северу.

ლექართის მონასტრის პირველი ეკლესია გეგმა.


Leqartsi. Первая церковь, план.




ღრმა და ვრცელი ცენტრალური აფსიდა უარების მეშვეობით უკავშირდება გეგმაში სწორკუთხა პასტოფორიუმებს: სადიაკვნეც და სამკვეთლოც აღმოსავლეთიდან სათავესთა ძირითად სივრცეებთან შერწყმული აფსიდებით სრულდება. ძირითად დარბაზს პასტოფორიუმები დასავლეთ კედელში გაჭრილი კარების მეშვეობით უკავშირდება. მთავარი აფსიდა და პასტოფორიუმები თითო სარკმლით ნათდება. ეკლესია მოხატული იყო. მხატვრობის უმნიშვნელო ფრაგმენტები დღესაც იკითხება ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე. წარ-



ლექართის მონასტრის მეორე ეკლესია
 ზიზლიყთაჲს



ლექართი. Вторая церковь,
 разрез к востоку.



ლექართის მონასტრის მეორე ეკლესია, გეგმა.

ლექართი. Вторая церковь,
 план.

მოდგენას თითქმის სრულებით დაკარგული მოხატულობის შესახებ რამდენადმე გვივსებს მხატვარ ტ. შვეიაკოვას მიერ 1947 წ. შესრულებული ჩანახატები (ინახება თბილისში საქ. სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში №18 სსს 26ა სსს 22 26ა სსს 26ა). ჩანახატების შესრულების დროს დაჩვენილი იყო „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის“ სცენისა და ჩრდილოეთი კარის თაღის ორნამენტის ფრაგმენტები. მოხატულობა XII-XIII სს არის დათარიღებული.

შესასვლელელები ეკლესიას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს მოწყობილი. დასავლეთი კედელი დაფარულია შენობის ზედა ნაწილების ჩამოცვენილი მსხვილი ფრაგმენტებით, რის გამოც არ დგინდება დასავლეთი შესასვლელის არსებობა. ეკლესიას, როგორც ჩანს გააჩნდა სამხრეთი ვარშემოსავლელი და ორი კარიბჭე (ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან), რაზედაც მიუთითებს ტაძრის კორპუსს შემოვლელი თარო, რომელიც მალღდება კარების თავზე. ეკლესია ნაგებია ძირითადად უხეშად დამუშავებული ადგილობრივი ჯიშის ქვისაგან. ყურადღებას იმყრობს პირველ ეკლესიასთან შედარებით უფრო ფართოდ ნახმარი შირიმი. მისი მეშვეობით მოპირკეთებულია საკურთხევლის ორივე მხარეს არსებული სიბრტყეები, კონქი, კამარები და ბურჯები. თაღები პროფილირებული კაპიტელებით არის გამოყოფილი. ფასადების დეკორატიული სამკაულისაგან დარჩა მხოლოდ სამხრეთი სარკმლის კედელში „დაძირული“ საპირე.



ლექართის მონასტრის მეორე ეკლესია გევმის მხრივ მიუყვლინდება ჩვე-
წერილი ჯვრის ტიპის იმ ორბურჯიანი ქართული ტაძრების ჯგუფს, რომლებსაც
ლიც წამყვანი ხდება XI საუკუნიდან და უიშვიათესი გამონაკლისების გარდა
მეორდება ნაგებობათა უმრავლესობაში. საქართველოში პოულობენ პარალელ-
ლებს ეკლესიის ცალკეული ღებლებიც. რთული ფორმის დასავლეთის ბურ-
ჯები გვხვდება ხირსას სტუფანწმინდას მონასტრის ეკლესიაში (VIII-IX სს),
პარცანაში (VIII-IX სს), ალავერდში (XI ს), ფუძნარში (XIII ს. პირველი
ნახევარი); ხოლო გევმაში წაგრძელებული პასტოფორიუმები გვხვდება გე-
ლათის მთავარ ეკლესიაში (XII ს.), იკორთაში (1172 წ.), თიღვაში (1152 წ.),
კარდნახის საბა-წმინდაში (XIII ს), და გვიანფეოდალური კახეთის ეკლესია-
თა მთელ ჯგუფში (გრემის მთავარანგელოზი, შიხიანის აღდგომა, ჭიკანის
წმ. თომა -ყველა XVI ს). განსაკუთრებით მნიშვნელოვან მათარიღებულ ელე-
მენტად გვევლინება კედლის სიბრტყეში „დაძირული“ სარკმლის საპირე, რომ-
ელიც ჩვეულებრივია XIII-XIV საუკუნეებისათვის. ამდენად შენობის გევმა
და ერთადერთი დეკორატიული ფორმა სარკმლის საპირე იძლევა ეკლესიის
განვითარებულ ფეოდალიზმის ხანის ბოლო ეტაპით, კერძოდ XIII-XIV სს.
დათარიღების საშუალებას. მხატვრობა კი, რომლის შექმნის დრო XII-
XIII სს-ით არის განსაზღვრული, მოგვემს ორიენტირს მომავალში შე-
ნობის თარიღის დასაზუსტებლად.

ცხადია, რომ ლექართის მონასტერი წარმოადგენს ძველს, რომელშიაც
სრულებით განსაკუთრებულ სახით ინასკება საქართველოს სხვადასხვა პრო-
ვინციებისათვის დამახასიათებელი მხატვრული ძიებები და სამშენებლო ტრა-
დიციები, ეს ძველი არ წარმოადგენს გამონაკლისს პერეთის სუროთმოდღერე-
ბაში, საქართველოს სხვა პროვინციების სუროთმოდღერებასთან დაახლოების
ტენდენცია გამოვლინდა უკვე ადრეფეოდალურ ხანაში. ამის მაგალითობია ბა-
ზილიკა ყუმში (VIII-IX სს), რომელიც პოულობს პარალელებს ბოლნისში,
ხაშში, წყაროსთავში, ურბნისში, ხოლო უახლოესი ანალოგი ვაზისუნის ბა-
ზილიკაში ეძებნება, ტეტრაკონქი ლექართში (VIII-IX სს), რომელიც ავ-
ლენს დიდ მსგავსებას კახურ ძეგლებთან, და იშხანსა და ბანასთან, გიში (განვი-
თარებული შუასაუკუნეები), ზედგზითი (X-XIII სს), ხოლო გვიანფეოდალურ
ხანაში პერეთის ძველ მიწაზე იგება კახეთის სამეფოს მესვეურთა ადგილსამ-
ყოფელი ქალაქი — რეზიდენციები (მაგ. ბაზარი — ზავში, სადაც დღემდე
მოაღწია XVI ს. გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევებმა)“.

პერეთისა და საქართველოს სხვა პროვინციების კულტურული ერთობა,
ესოდენ მკაფიოდ გამოვლენილი სუროთმოდღერებაში, მტკიცდება ისტორიუ-
ლადაც.

პერეთი ქართულ წყაროებში მოიხსენიება ერთ-ერთი ქართული სამეფოს—
კახეთის წარმოქმნასთან დაკავშირებით. მისი საზღვრები არ ყოფილა უც-
ვლელი მთელი ისტორიის მანძილზე. ძირითადად იგი იფარგლებოდა
ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთავარი ქედის დაღისტანის მთიანეთით, მდ.
არიშამდე, სამხრეთით იორ-ალაზნის შესართავიდან მდ. გიშამდე ვრცელდებო-
და. მისი ნაწილი დღეს აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე იმყოფება (ბელაქა-
ნის, ზაქათალის, კახის, შექისა და ვართაშენის რაიონები). ზუსტად არ დგინ-
დება საზღვარი კახეთსა და პერეთს შორის. პერთა ტერიტორია წყაროებში

ხშირად კახეთად მოიხსენიება, სახელდობრ VI ს-ის მოვლენებთან დაკავშირებით. როდესაც ვახტანგ გორგასლის შვილმა დაწიბ „დაკპატია“ მთიულნი კახეთისა ქრისტიანობის მისაღებად, მას წინ აღუდგნენ ნუხის მცხოვრებნი¹. საინტერესოა რომ პერეთი ისტორიულად უკავშირდებოდა არა მხოლოდ კახეთს, არამედ საქართველოს ცენტრალურ პროვინციასაც — ქართლს, მეხუთე საუკუნეში იგი ქართლის სახელმწიფოში შემავალი ქვეყანა იყო. მას მართავდნენ ვახტანგ გორგასლის ჩამომავლები, რომლებმაც დროთა მანძილზე მიაღწიეს დამოუკიდებლობას და VIII ს.-ის პირველ ნახევარში დააარსეს კახეთის სამთავრო. კახეთის პირველი მთავარი არჩილის (VIII ს 30-50-იან წწ) სიკვდილის შემდეგ პერეთი გამოეყო კახეთს. IX საუკუნის ბოლოს პერეთის მმართველები იღებენ მეფის წოდებას. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაფორმებასთან ერთად ძლიერდება პერეთის კულტურული ერთობა საქართველოს დანარჩენ პროვინციებთან. სწორედ ამ დროს იმარჯვებს მასში ქალკედონიტური მართლმადიდებლობა, რაც თავისთავად გულისხმობდა მჭიდრო კავშირს ქართულ ეკლესიასთან, ხოლო XI ს.-დან კახეთი და პერეთი ერთიანდებიან და სახელი პერეთი ადგილს უთმობს ჯერ კანთა და რანთა სამეფოს, ხოლო მოგვიანებით უბრალოდ კახეთად არის ცნობილი. ლექართის მონასტრის ძველ ეკლესიაში შემჩნეული კავშირი საქართველოს გამაერთიანებელი ერთ-ერთი აქტიური ძალის, აფხაზთა სამეფოს ხუროთმოძღვრებასთან, კავშირი, რომელიც აისახა საკუთრივ კახეთის ისეთ ძეგლებშიც, როგორცაა იყალთოს ფერისცვალების ეკლესია და ბარცანა, მტკიცდება ისტორიული საბუთებითაც. კახეთის მეფე კვირიკე I-მა (893-918 წწ) თავისი მმართველობის დასასრულს მოიწვია აფხაზთა მეფე კონსტანტინე პერეთის დაუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ პერეთის დაპყრობამდე საქმე არ მისულა. მისმა მფლობელმა ადარნასე პატრიკიმ შესთავაზა საზავო პირობები. კონსტანტინემ მიიღო არიში და გავაზნი, ხოლო ღირიკემ — ორჭობი. ამ ფაქტის აღსანიშნავად კონსტანტინე ეწვია ალაჯირის და შეამკო მისი ხატი². თვით მოწვევის ფაქტი მოქმობს აღნიშნულ პროვინციებს შორის ღრმა და საუკუნოვანი ურთიერთობის არსებობას.

ამდენად აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის სოფ. ლექართში (ლექითში) რსებულის მონასტერი წარმოაკვიდგება ერთიანი ქართული კულტურის ჩამოყალიბების პროცესის ამსახველ ძეგლთა რიგის მნიშვნელოვან რგოლად, იმ კულტურისა, რომლის ჩამოყალიბების საწყისი ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაშია გამოვლენილი. პერეთი იტევს კიდევ მრავალ ნაკლებად ცნობილ ძეგლს, რომელიც ათხოვს ყურადღებასა და სერიოზულ კვლევას.

1. მონასტერი იხსენიება მ. ჯანაშვილთან „საინგილო“. ძველი საქართველო“ ტ. II, ტფილისი, 1911-1913 წ.წ. ზ. ედილი „საინგილო“, თბ. 1977.

2. უფრო დაწვრილებით ამ ძეგლების შესახებ იხ. გ. ნ. Чубинашвили «Архитектура Кахетин». Тбилиси, 1959, л. 4. ქალაშვილი „კახეთის ქალაქები“, თბ. 1980 წ.

3. უფრო დაწვრილებით პერეთის ისტორიის შესახებ იხ. გ. ნ. Чубинашвили «Архитектура Кахетин», Тბ. 1959.

თ. გ. პაპუაშვილი. პერეთის ისტორიის საკითხები, თბ. 1970, თ. გ. პაპუაშვილი „კახთა და რანთა სამეფო“, თბ. 1982, Д. Л. Мухелишвили, «Из исторической географии Восточной Грузии (Шахи и Гогарена), Тб., 1982.

4. ამ მოვლენაზე მოგვითხრობს არა მხოლოდ ისტორიული ქრონიკა, არამედ ერედვის ეკლესიის (914 წ. მახლობლად) ერცელი წარწერაც. იხ. ქართული წარწერების კორპუსი, I, თბ. 1980 წ. გვ. 172.

„მამა-დავითის“ ეკლესია სოფ. ჭერემია

ეკლესია, გურჯაანის რაიონში, სოფ. ჭერემიის მიდამოებში, ძველ ხასაფ ლაოზე დგას. მის შესახებ, მხოლოდ ძალზედ მწირი, გვიანდელი ცნობები მოგვეპოვება¹. ძველი ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. მიუხედავად ამისა, თავისი სიძველითა და ჯერ კიდევ შერჩენილი მოხდენილი იერით მნახველთა ყურადღებას იპყრობს.

1982 წელს, „მამა-დავითის“ ეკლესია ძველთა დაცვის სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების მიერ გაიწმინდა და აიზომა. პროექტით გათვალისწინებულია ძირითადად ძველის კონსერვაცია (პროექტის ავტორი: არქ. ზ. ქუფარაშვილი).


საშუალო ზომის ეკლესია (მისი ზომებია : სიგრძე 14 მ, სიგანე 11 მ, საკურთხველის სიმაღლე 8 მ), სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპისაა დასავლეთის ვარშემოსავლელით. ნაგებობის გადახურვა მილიანად ჩაქვეულია. მისგან შედარებით უკეთესად არის შემორჩენილი ცენტრალური ეკლესია საკურთხველის მთელი სიმაღლით. გვერდითი ეკლესიების მცირე ნაწილი და დასავლეთი ვარშემოსავლელის მხოლოდ ვეშა. კედლები ადგილობრივი ჯიშის თლილი ქვითა და დულაბის ტუნჯი გამოყენებით არის ნაგები. შერჩეული, საშუალო ზომის მეტნაკლებად დამუშავებული კვადრებით დაცულია პორიზონტალური რიგები. ეკლესია შემკულობის მხრივ სრულიად სადაა, რაც ერთის მხრივ მისი ადრეული სააღმშენებლო დროით, ხოლო მეორეს მხრივ სამშენებლო მასალით არის გაპირობებული. ნაგებობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკურთხველის კომპოზიციის მხატვრული გადაწყვეტა, რაც მიღწეულია განსხვავებული მასალით — შირიმით ამოყვანილი კონსტრუქციული ფორმებით: მაღალ, გაშლილ, ნალისებრი მონაზულობის საკურთხველს ასრულებს ასევე ნალისებრი ფორმის შირიმის ტრიუმფალური თალი, რომლის საყრდენებს წარმოადგენს ერთ ქვაში გამოკვეთილი, ზემოთკენ ოდნავ გაგანიერებული და თართოი დასრულებული იმპოსტები. კონქი შევსებულია შირიმის ნახევარწრიული რიგების ლამაზი წყობით. შირიმითვეა ამოყვანილი მაღალი, პარალელურ წირთხლებიანი ნალისებრი მონაზულობის თალით გადახურული საკურთხველის ხარკმელი. კონქს ზევით აგრძელებს მაღალი შუბლი, რომლის მიღმა სამალავია მოთავსებული.

შუა ეკლესია მთელს ნაგებობაში თავისი ზომითაც დომინირებს — იგი გვერდითა ეკლესიებსა და დასავლეთის ვარშემოსავლელთან შედარებით ორჯერ განიერი და მაღალია. მის სამივე მხარეს მოთავსებულ სათავსებს ეკლესია კარებით უკავშირდება. საკურთხველთან ახლოს, ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი სწორკუთხა კარით სამკვეთლოში გავდივართ. მისგან შემორჩენილია სწორკუთხა საკურთხველის მცირე ნაწილი, რომელსაც მაღალი ჩამოსაჯდომი ნიშის კვალი ვასდევს. მეორე, მაღალი და ვიწრო ჩამოსაჯდომი ნიში სათავსის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. სამკვეთლო ჩრდილოეთი ეკლესიიდან ყრუ, სწორკუთხა კედლით გამოიყოფოდა. ჩრდილოეთი ეკლესიიდან ამჟამად, მხო-



კერძის „მამა-დავითი“.
 ჩრდ. დასავლეთის ხედი.

«Мамма-Давид» (с.л. Черми).
 Северо-западный вид.



ცენტრალური ეკლესიის სა-
 კურთხეველი.

Алтарь центральной
 церкви.




საქართველოს
ქრონიკა





„მამა-დავითი“. აღმოსავლეთი ფასადი.

Церковь «Мама Давид». Восточный фасад.



სამხრეთი ეკლესიის საკურთხეველი.

Алтарь южной церкви.



მამა დავითის ეკლესია, გეგმა.

Церковь «Мама Давид», план.

ლოდ გეგმა იკითხება. ცენტრალური ეკლესიის საკურთხეველს სამხრეთი პასტოფორიუმი არ გააჩნია. სამხრეთი ეკლესია შუა ეკლესიას მთელ სიგრძეზე გასდევს და აღმოსავლეთით აფსიდით შემოიფარგლება. მას შუა ეკლესია თაღით დასრულებული კარით უკავშირდება, რომელიც სამხრეთი ეკლესიის მხრიდან არქიტრავით არის გადახურული. ეკლესიის სამხრეთი კედელი, როგორც შემორჩენილი წყვილი, სწორკუთხა ბურჯის კვალიდან იკითხება, სამი თაღით უნდა ყოფილიყო გახსნილი, ისევე, როგორც ამ ტიპის ძეგლში — კისისხევის კონდამიანში გვხვდება. სამხრეთის და ჩრდილოეთის ეკლესიებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასავლეთის გარშემოსავლელი აერთიანებდა. გაწმენდის შემდეგ, გარშემოსავლელის გეგმაზე აღმოჩნდა შესასვლელი, რომელიც ცენტრალური ეკლესიის დასავლეთი კარის ღერძიდან მარჯვნივ არის გადაწყვეტილი, ძეგლის გაწმენდის დროს, ასევე ნაპოვნია სწორკუთხა, დაბალკბილუბიანი თარო — კარნიჭის ქვა.

როგორც ვ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, სამეკლესიოანი ბაზილიკის ტიპი ქართულ ნიადაგზე აღმოცენდა და მისი ძირითადი ევოლუციური საზღვრები შემოიფარგლება VI ს. II ნახ. და X-XI სს.

„მამა-დავითის“ ადრეულ თარიღს, თავიდანვე, მისი კედლების წყობა გვაფიქრებინებს. გვახსენდება უჯარმის ნაქალაქარის უძველესი ნაგებობები (V ს. II ნახ.) სოფ. ჭერემის „წვერო-დაბალთან“, წმ. ბარბარეს ეკლესია (ადრეული ხანა)². ეკლესია სხვა ხუროთმოძღვრული ნიშნებითაც ადრეული ხანის ძეგ-



ლებს უკავშირდება: 1. მსგავსი საკურთხეველის სარკმელი (შირქიმოფ-კამეუ ყვანილი. პარალელურ წირთხლებიანი და ნალისებრი თაღით ¹გადახურულ) VI-VII სს ძველებში — ქვემო ბოლნისი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, ვარდისუბნის „დეკანოზური“, „წვერო დაბალი“ — გვხვდება. 2. ნალისებრი გვემის საკურთხეველი და შირიმით ამოყვანილი, ასევე ნალისებრი მოხაზულობის ტრიუმფალური თაღი, წამყვან მხატვრულ ელემენტს წარმოადგენს როგორც „მამა-დავითში“, ასევე: ხაშმის კაწარეთის სამებაში (V-VI სს) ვაჩნაძიანის ყველაწმინდაში (VI-VII სს.); ქვემო ბოლნისსა (VII ს. II ნახ.) და „წვერო დაბალში“ (VI-VII სს). როგორც ცნობილია ყველაზე მეტად არქიტექტურულ დეტალთა ნალისებურმა მოხაზულობამ კლასიკური სახე სწორედ V-VII სს. მიიღო, როცა იგი ძველის მხატვრული სახის ერთ-ერთი განმსაზღვრელი გახდა.

3. საურთაღლებოა ასევე, რომ „მამა-დავითის“ ტრიუმფალური თაღის მსგავსი საბჯენი იმპოსტებიც (ერთ ქვაში გამოკვეთილი, ზევით ოდნავ გაგანიერებული და თარიით დასრულებული იმპოსტი) ზემოთ აღნიშნულ ძველებშია გამოყენებული; გვხვდება რუისპირის წმ. თევდორეშიც VI-VII სს.

4. ტრიუმფალური თაღის ზევით, მაღალი შუბლის მიღმა სათავის (სამალავის) არსებობის მაგალითები გვაქვს: ხაშმის კაწარეთის სამებაში (V-VI სს), ანშეტის ღუთაებაში“ (VI ს. II ნახ.).

5. ცენტრალურ ეკლესიაში დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დავრძელებული სივრცის აღქმის შენელება (როგორც ჩვენს ეკლესიაში — დას. ვარშემოსავლელის კარი აცდენილია შუა ეკლესიის დას. კარის ღერძიდან), ანდა საერთოდ უარყოფა დამახასიათებელია პირველი ჯგუფის ყველა სამკვლესიანი ბაზილიკისთვის².

გვემითა და კომპოზიციური გადაწყვეტით „მამა-დავითის“ უშუალო პარალელებს კახეთის სამკვლესიანი ბაზილიკებში ვხვდებით. სახელდობრ, VI-VII სს. დათარიღებულ ძველებში — წმ. შიო საბუეში და „წვერო-დაბალში“³.

განსაკუთრებული მსგავსებაა „მამა-დავითსა“ და „წვერო-დაბალის“ საკურთხეველების კომპოზიციურ გადაწყვეტაში. „მამა-დავითთან“ ნაპოვნი კარნიზის უშუალო პარალელიც „წვერო-დაბალის“ აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონზე შემორჩენილი კარნიზის სახით მოგვეპოვება.

ამდენად, „მამა-დავითის“ ეკლესია სამკვლესიანი ბაზილიკების განვითარების პირველი ჯგუფის რიგს, კერძოდ VI-VII სს. მიჯნის ძველებს შეიძლება მივაკუთვნოთ. მისი სახით ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას კიდევ ერთი საინტერესო საკულტო ნაგებობა შეემატა.

¹ Пурцеладзе Д., Старый город Черему, «Кавказ», 1980, № 324.

² მელიქიეთ-ბეგი ლ., არქეოლოგიური მოგზაურობა გარე კახეთსა და ჰერემის ხეობაში, „სახალხო საქმე“, 1920 № 951 (სტატიაში „მამა-დავითის“ ეკლესია იხსენიება „სომხის ეკლესიის სახელწოდებით).

³ წმ. ბარბარეს დარბაზული ეკლესია, სოფ. ჰერემთან, სახასიათო ნიშნებით (ნაგებობის საშუალო ზომა, კედლების წყობა, ნალისებრი ფორმის საკურთხეველი, თითქმის პარალელურ წირთხლებიანი საკურთხეველის სარკმელი ნალისებრი თაღით გადახურული, გრძივი კედლების დაუნაწევრება, და კამარის დაყრდნობა გრძივ კედლებზე საბჯენი თაღების გარეშე) აღრეული ხანით — V-VII სს. თარიღდება.

⁴ Чубинашвили Г. Н. Архитектура Кахетии, Тб., 1959, стр. 143—156.

⁵ იქვე, გვ. 155 და 188.

ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი

1980 წლის ივლის-სექტემბერში, ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს ძველთა აღრიცხვა-პასპორტიზაციის განყოფილების თანამშრომლების ექსპედიციამ: არქიტექტურის კანდიდატ ვ. ვარდოსანიძის (ექსპედიციის ხელმძღვანელი), არქიტექტორ ვ. ჯიშკარიანის და ისტორიკოს ზ. თოთიბაძის შეადგენლობით ახალციხის რაიონში ჩატარა ისტორიის, არქიტექტურისა და მონუმენტური პლასტიკის ძველთა აღრიცხვა-პასპორტიზაცია. ექსპედიციის წევრების მიერ რაიონში დაფიქსირებულ იქნა ორასზე მეტი ძველი, მათ შორის სამეცნიერო საზოგადოებისათვის რამოდენიმე უცნობი. ამ წერილში საუბარი გვაქვება ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ ნასოფლარ ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსზე.

სანამ შევუდგებოდეთ ძველსა და მასზე შემორჩენილ წარწერებზე საუბარს, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით შევხოთ ნასოფლარის ტოპონიმს, რომელიც შესხეთის ათაბაგების ჯაყელთა ცნობილ გვართან იყო დაკავშირებული.

გვარი ჯაყელი წარმომობილია ციხე-სიმაგრე ჯაყიდან, სიმაგრე მდებარეობდა სამცხეში, ფოცხოვოს ხეობაში ჯაყის წყლის პირას. ამ ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სამცხის თავდაცვის საქმეში. მისი მფლობელები იწოდებოდნენ ჯაყელებად და ციხისჯვარელებად, რადგანაც ორივე ციხე მათ გვარს ეკუთვნოდა, ამიტომ ციხისჯვარეული ჯაყელთა სახელით იხსენიებიან (სამცხის ათაბაგები, ჯაყელები წარმომობით ფოცხოველები იყვნენ).¹

ჯაყელთა გვარი დაწინაურდა დავით აღმაშენებლის დროიდან (ბეშქენ ჯაყელი), ხოლო თამარ მეფის დროს გამოჩენილი სასაღვარო იყო ბოცო ჯაყელი. ამ გვარიდან მონგოლთა ბატონობის პერიოდში (1266 წელს) პირველმა ათაბაგობა მიიღო სარგის ჯაყელმა — ციხისჯვარელმა².

რაც შეეხება ნასოფლარის ტოპონიმს, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავითარში, მესხეთ-ჯავახეთის სხვა ნაწილებთან ერთად V ფოცხოვოს ლივის ჩრდილის ნაპაღეში (რაიონი) ჯაყ ფუძესთან დაკავშირებით მოცემულია სამი გეოგრაფიული პუნქტის სახელი: სოფელი ჯაყისმანი, ზედა ჯაყი, ჯაყის რაბათი (ჯაყის ციხე). პირველი მათგანის, კერძოდ, ს. ჯაყისმანის სახელწოდება „უნდა მოდიოდეს ჯაყისუბნიდან, როგორც ეს ჩვენ გვაქვს სიტყვაში: ტიმოთისუბანი, კიმოტისუბანი-კიმოტისმანი“³.

ნასოფლარ ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსი განლაგებულია ფოცხოვის ხეობის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდობის ხელოვნურად მოწყობილ ბაჟანზე. ბაჟნის შუაგულ ადგილზე აღმართულია კომპლექსის მთავარი ეკლესია, რომლის სამხრეთითაც რამოდენიმე მეტრში სამრეკლო და მცირე ეკლესიაა.

ძველისათვის შესანიშნავი ადგილი შეურჩევიათ. მის ტერიტორიიდან ხელისგულივით იშლება ნასოფლარისა და ფოცხოვოს ხეობის ლამაზი პანორამა,



ხოლო შორს სამხრეთით მწვანე ტყით დაფარულ ძნელად მისადგომელ კედელზე ჯაყის ციხის ნანგრევები.

მთავარი ეკლესია არქიტექტურული კომპლექსის წამყვანი ნაგებობაა. იგი დარბაზული ტიპისაა. მის მთავარ წაგრძელებულ კორპუსს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მთელ სიგრძეზე ეკვროდა მინაშენები. ჩრდილოეთის მინაშენი (ეკლერო), რომელიც კრიპტაზეა დაშენებული, მოგვიანებითაა მიდგმული ეკლესიის ადრეულ წყობაზე, ხოლო დასავლეთის მინაშენი (ნართექსი-კარიბჭე) შემორჩენილია ნაშთის სახით, მთავარი კორპუსისა და ჩრდილოეთის მინაშენის შესასვლელების ოდნავ მაღლა, ფსადის მთელ სიგრძეზე.

ქველის მთლიანი გეგმა ამჟამად აღარ არსებული ნართექს-კარიბჭის გარეშე კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედაა (12,1×11,0 მ), ხოლო მისი მთავარი კორპუსისა წაგრძელებული სწორკუთხედაა (12,1×7,0 მ.), რომელშიც ნახევარწრიული აბსიდაა ჩაწერილი. საკურთხეველი დარბაზისაგან სამსაფეხურიანი მხრებითაა გამოიჯნული.

დარბაზი წყვილი სამსაფეხურიანი პილასტრით ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. პილასტრების პირველ საფეხურზე გადაყვანილია კედლის დეკორატიული თაღები, ხოლო დანარჩენ ორ საფეხურზე დაყრდნობილია კამარის საბჯენი თაღი. ვრძივი კედლები დეკორატიული თაღებით ერთი სიგანის ორ მაღადაა დანაწევრებული; ერთმალისანი თაღოვანი მოჩარჩოება გააჩნია დასავლეთ კედელსაც.

ეკლესიას თითო შესასვლელი აქვს სამხრეთიდან (მოგვიანებით დახშული) და დასავლეთიდან. ვარდა ამისა ჩრდილოეთ კედლის დეკორატიულ თაღის მალეში იატაკის დონიდან დაახლოებით 1 მ სიმაღლეზე მოწყობილი იყო ორი ფართო არქიტრაული გადახურული კარისმაგვარი ღიობი, რომლიდანაც აღმათ კიბეები ეშვებოდა კრიპტაში (დასავლეთ მონაკვეთის ღიობი მოგვიანებით ამოუქოლიათ, ხოლო აღმოსავლეთის განგრეულია). განათებისათვის ოთხი ხარკმელია: აღმოსავლეთით აბსიდში, დასავლეთ კედლის ცენტრში და თითო სამხრეთ კედლის დეკორატიულ თაღის მალეებში.

ინტერიერში კედლები მოპირკეთებულია მკაცრად თარაზული, პორიზონტალური სწორხაზოვანების დაცვით სუფთად თლილი, ერთმანეთზე კარგად მორგებული სხვადასხვა ზომის კვადრებით. აქ გამონაკლისს წარმოადგენს ჩრდილოეთ კედლის დეკორატიულ თაღის მალეებს შორის არეები, რომლებიც უხეში ქვების წყობითაა შევსებული (კედლის ეს ნაწილი აღმათ მოგვიანებით იქნა შევსებული ფლეთილი ქვებით. შესაძლებელია იმ დროს, როცა მთავარ კორპუსზე ჩრდილოეთიდან მიდგმული იქნა ეკლერო, მოაწყვეს დაბალი კარისმაგვარი ღიობები, რომლებიდანაც კიბეები ეშვებოდა კრიპტაში).

კედლის დიდი ნაწილი შეთეთრებულია.

ეკლესიის ინტერიერი მოკლებულია დეკორს. დასავლეთ კედელზე შემორჩენილია ფრესკების უმნიშვნელო კვალი.

კედლების მოპირკეთება საგულდაგულოდ თლილი კვადრებით გვაფიქრებინებს ფრესკისა და ეკლესიის არათანადროულობას. ეტყობა დასავლეთი კედელი მოგვიანებით იყო მოხატული.

გარედან ქველი მომწვანო-მოვარდისფრო დაციტის საგულდაგულოდ თლილი კვადრებით იყო შემოსილი (წყობა იგივეა, რაც ინტერიერში). სა-




ჩუისმანი. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთი-
 დან. ფოტო ვ. თოთიბაძე.

Джавакисмани. Общий вид с юго-запада.
 фото В. Тотибадзе.

ჩუისმანი. დასავლეთის სარკმელი ასომთავრული
 წარწერით მარცხენა ბაზისზე (ფოტო ვ. ვიშ-
 კარინისა).

Джавакисмани. Западное окно с надписью
 асомтаврули. Фото В. Джиншариани.





ქაიხმახი. ქტიტორული წარწერა ეფროსინესი
(ფოტო ვ. ჯიშკარიანისა).

Джагисмави. Кресторская надпись.

პირეები შემორჩენილია ეკლესიის დასავლეთ ფასადის ზედა მონაკვეთში, ნაწილობრივ სამხრეთის ფასადზე და ჩრდილოეთის ფასადზე, რომელიც გარედან მინაშენებითაა დაფარული.

დასავლეთ ფასადის ფრონტონში გამოირჩევა, კვადრატული ბაზისებით დაბოლოებული ორმაგ გრეხილ ლილვში ჩასმული ძირშეუკრავე სარკმელი, S-ებრი ორნამენტით მოჩუქურთმებული საპირეთი. მარცხენა ბაზისზე ამოკვეთილი იყო ქტიტორული წარწერა. სამწუხაროდ ბაზისის ქვედა ნაწილი ჩამოტეხილია, რის გამოც წარწერა ნაკლებია და სრულად არ იკითხება: „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყაღ). მო (...)“. როგორც ჩანს აქ განისვენებს ჯაყელთა ვვარის, ჩვენთვის უცნობი პიროვნება.

ძეგლის სამხრეთის ფასადზე განსაკუთრებით ხაზგასმულია ტიმპანი. ტიმპანის თავსართი და ზედაპირი მოჩუქურთმებულია ფოთლოვანი ორნამენტით, ხოლო ცენტრში წრეხაზში ჩასმული განედლებული ჯვარია ამოკვეთილი, ამავე ფასადზე განლაგებულია ორი ვიწრო, ძირშეუკრავე სარკმელი. ერთ-ერთ სარკმლის თავზე ამოკვეთილია პატარა განედლებული ჯვარი. ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი თითქმის სახურავის დონემდე მიწაშია ჩაფლული, ხოლო ჩრდილოეთი ფასადის დიდი ნაწილი მინაშენითაა დაფარული. მთავარი კორპუსის ორფერდა სახურავს ოთხივე მხრივ გარს შემოუყვება რთული პროფილის მქონე ლავგარდანი.

მოგვიანებით ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე მიუდგამთ ეკვდერი; ძეგლის ეს ნაწილი ორი სათავსისაგან შედგება. ეკვდერის დასავლეთი, აბსიდით დაბოლოებული სათავსი სწორკუთხაა (7,5×4,4 მ) და აღმოსავლეთის სათავსი-



საგან კედლითაა გამოჯნული (ალმოსავლეთის კედელი ცენტრში განგრეუ-ერქვისული ღია). შესასვლელი დასავლეთ კედელში ქქონდა დატანებული.

ალმოსავლეთი სათავსი კვადრატია (5,0×5,2 მ) მრუდნახოვანი აბსიდით. სამხრეთ კედელში შემორჩენილია სატრიუმფო და კამარის საბუჯნი დასავლეთ თალის ფრაგმენტი. აბსიდის ქვედა მონაკვეთში გაყვანილი იყო გვირაბი. ძველის ამ ნაწილმა დღევანდლამდე დიდი დანაკარგებით მოაღწია. მისი დიდი ნაწილი დაზარეულია და გაძარცვულია საბირე ქვებისაგან. შიდა სივრცე ეკვდრის ორივე ნაწილში ამოვხებულია მიწით და ჩაყრილი ქვებით, დაფარულია მცენარეულობით. ამ მიზეზით არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების გარეშე ეკვდრის სხვა არქიტექტურულ ელემენტებზე მსჯელობა შეუძლებელია.

რაც შეეხება ეკლესიის აგების თარიღს, მთელი რიგი არქიტექტურული ელემენტები, მთავარი კორპუსის გეგმის კონსტრუქცია, ძველს X-XI სს. მიჯნის ნაგებობების გვერდზე აყენებს.

ინტერიერში აღნიშნულ ეპოქასთან კავშირის მაჩვენებელია, ვრძივი კედლების დანაწილება დეკორატიული თალებით (საერთოდ ვრძივი კედლების დანაწევრება სხვადასხვა მალის მქონე თალებით, ფართოდაა გავრცელებული ამ პერიოდის დარბაზულ ეკლესიებზე).

ფსადებზე: დასავლეთ სარკმლის საბირე S-სებრი ორნამენტითაა მოჩუქურთმებული. გ. ჩუბინაშვილის მიხედვით ეს მოტივი X ს შუა წლებიდან შემოდის. მისი ერთ-ერთი უპირველესი მაგალითი გვხვდება ბელიის ტაძარზე და შემდეგ სხვადასხვა ნაირსახეობით განვითარებული შუასაუკუნეების მთელ რიგ ძეგლებზე (X-XI სს მიჯნით დათარიღებული ტბეთის შესასვლელის არქიტრავი, ხცისი XI სს დასაწყისი, პატარა ონი XI ს; ნიკორწმინდა XI ს.; იშხანის მცირე ეკლესია XI ს და ა. შ.).

რაც შეეხება ძირშეუკრავ სარკმლებს ისინი ძირითადად გვხვდება, როგორც უფრო ადრულ¹ ასევე X-XI სს მიჯნის ნაგებობებზე². ამავე მიჯნას განეკუთვნება პალეოგრაფიულად სარკმლის ბაზისზე შესრულებული წარწერა.

კომპოზიციურად სამხრეთის შესასვლელის ტიმპანი ჩამოგავს პატარა ონის დასავლეთ შესასვლელისა და იშხანის მცირე ეკლესიის ჩრდილოეთ შესასვლელის ტიმპანებს. ამავე დროს ფართოდაა გავრცელებული ფოთლოვანი ორნამენტი, რომლითაც მოჩუქურთმებულია ტიმპანის თავსართი და ზედაპირი: ხცისი, იკვი, ნიკორწმინდა, პატარა ონი და ა. შ., ხოლო ტიმპანის ცენტრში ამოკეთილი ჯვარის მსგავსი ჯვარი, გვხვდება ხცისის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის დასავლეთ შესასვლელის თავზე.

ჯაყისმანის კომპლექსის მთავარი ეკლესიის დასავლეთ სარკმლისა და სამხრეთის შესასვლელის ტიმპანის ჩუქურთმები გამოირჩევა შესრულების სინატიფით. ჭრის ტექნიკა აგრეთვე დამახასიათებელია X-XI სს. მოჩუქურთმებულ არეებში ორი სიბრტყეა, ჩუქურთმის ზედაპირი და ფონი. ჩაჭრა პირდაპირია, კედლის ზედაპირისადმი პერპენდიკულარული და არა ირიბი.


ამრიგად, ძველის მთელი რიგი არქიტექტურული ელემენტები გვაძლევს საფუძველს, ჯაყისმანის კომპლექსის მთავარი ეკლესია X-XI სს მიჯნით და-



ჩაყოსმანი. სამხრეთ შესასვლელის ტიპანი.
ფოტო ნ. ზაზუნისვილისა.

Джакисмани. Тимпан южного входа.
Фото Н. Зазунишвили.

ჩაყოსმანის კომპლექსის არქიტექტურული ანა-Джакисмани. Архитектурный чертеж
ჴომი (ანომლია არქიტექტორ ვ. ქიშკარი-კომპლექსი, ავტ. ვ. დიმიტრიანი,
ანის მიერ).



ვათარილოთ, თუმცა ძველზე მომავალში ჩატარებული სამუშაოები აღბაძუფრო დააზუსტებს ეკლესიის აშენების თარიღს.

ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსის მთავარ ეკლესიიდან სამხრეთით, რამოდენიმე მეტრში, აღმართულია კომპლექსის მცირე ეკლესია და სამრეკლო. მცირე ეკლესია შემორჩენილია პერანგშემოცლილი კედლების ფრაგმენტის სახით. იკითხება დარბაზული ეკლესიისათვის დამახასიათებელი გეგმა აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდი განათებული იყო ერთი სარკმლით.

ეკლესიას დასავლეთიდან ეზღინება სამრეკლო. ესაა ოთხმხრივ თაღებით გახსნილი სწორკუთხა ნაგებობა (5,9 × 5,0 მ). დღემდე მოაღწია სამრეკლოს პირველმა სართულმა. იგი გადახურულია ჯვრებითა და ვირჩებით მოჩქურთმებული ვარსკვლავისებური კამარით. ჩრდილოეთ ფასადის ზედა ნაწილზე შემორჩენილია ლავგარდანის ნაწილი.

ნაგებობაზე შემორჩენილი დეკორატიული ელემენტები ვარსკვლავისებური კამარა, გეომეტრიული ჩუქურთმები, ძველს აყენებს XIII-XIV სს მიჯნის ნაგებობათა, კერძოდ ვარძიის XIII ს. დათარიღებული სამრეკლოს XIII-XIV სს-მიჯნით დათარიღებული საფარისა და ზარზმის ტაძრების კარიბჭეთა გვერდით.

სამრეკლოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სვეტის თაღზე და კაპიტელზე შესრულებულია საკმაოდ ვრცელი ასომთავრული წარწერა. წარწერის ტექსტი, როგორც ჩანს, ათამდე სტრიქონს შეიცავდა. სამწუხაროდ ტექსტის დიდი ნაწილი იმდენადაა დაზიანებული, რომ მისგან რაიმე მწყობრი აზრის გამოტანა არ მოხერხდა.

70-იანი წლების ბოლოს სომხურ მოსახლეობას ნასოფლარ ჯაყისმანიდან ს. წინუბანში გადაუტანია წარწერიანი ქვა და ჩაუტანებიათ ახლად აგებულ სამლოცველოს აღმოსავლეთ კედელში.

ქვის დამუშავებული ფილის ცენტრში, კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარია ამოკვეთილი. ჯვრის ზედა ნაწილი მოგვაცოცხლებს გუმბათით გადახურულ ნაგებობას (იგი წარმოადგენს ტაძრის სქემატურ გამოსახულებას, მოდელს, რომელსაც „ახალი იერუსალიმი“, „სიონი“ ეწოდება ქრისტიანულ სამყაროში. როგორც ცნობილია, სიონი ქრისტიანულ ქვეყნებში განასახიერებს მაცხოვრის საფლავზე აღმართულ „აღდგომის“ ტაძარს.⁶

რაც შეეხება წარწერას, ჯვრის მკლავებს შორის მოზრდილი ასოებით ამოკვეთილია ორი წარწერა. რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია ჯვრის პორიზონტალური მკლავებით. ერთი მათგანი შესრულებულია მხედრული დამწერლობით, ხოლო მეორე — ქტიტორული წარწერა ეფროსინესი — ასომთავრული დამწერლობით მხედრული ი-ს ჩართვით. ამ წარწერაში ზოგიერთი ასო — ლ, ო-ნუსხურია. როგორც წარწერიდან ირკვევა ვარდაცვლილი ვინმე გ ტ (გურანდუბტ). ხოლო ეფროსინეს უდავოდ ჯაყელთა გვარის, ან ამ გვარის მონათესავე ქალს აუგია სამრეკლო და აღბათ მის გვერდით გ ტ-ს საფლავზე მცირე ეკლესია (სიონი). შეიძლება გ ტ. ეფროსინეს ახლობელი პირიყნება იყო (შვილი, დედა), შესაძლებელია გ ტ და ეფროსინეს ერთი და იგივე პიროვნებაა.



გ ტ (გურანდუხტ) საერო სახელია, ხოლო ეფროსინე მონაწილეა ანტიკურ წყაროებში შემდეგ მიღებული ამ შემთხვევაში მას წინასწარ, სამრეკლოსთან ერთად ექნებოდა აგებული მცირე ეკლესია – გარდაცვალების შემდეგ განსასვენებლად.

წარწერიანი ქვა თავის დროზე მცირე ეკლესიაში, გტ-ს საფლავის თავზე კედელში ან სხვა ადგილზე უნდა ყოფილიყო დატანებული.

1983 წელს პალეოგრაფმა ე. სილოგავამ⁷ მრავალთავის X ნომერში გამოაქვეყნა წარწერის ტექსტი. მან წარწერა შემდეგნაირად წაკითხა:

„წ(მიდა)ო ს(იონ)ი გ ტ.

ესე ს(ამრევ)ლო/ნი// ა(ლა)შ(ე)ნა /ეფროსინემან.

/ლ(მერთ)ო [შ(ე)იწყალ]ე].

ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ წარწერის შემდეგ წაკითხვას:

წ(მიდა)ო ს(იონ)ი გ ტ (გურანდუხტ?)

ესე ს(ამრევ)ლო/ნი // ა(ლა)შ(ე)ნა.

/ეფროსინ/ემ ამ (მე)ნ /ლ(მერთ)ო.

ეფროსინეს შემდეგ დაქარაგმებით მოცემულია ორი ასო ან ე. ი. ამენ. ტექსტში ა-მეტია და წარწერაში იკითხება: „სამრევლონი“ „ეფროსინემან“.

¹ ს. მაკლათია, მესხეთ-ქაჯახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ., ფედერაცია, 1938, გვ. 63.

² ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., — „საბჭოთა საქართველო“, 1973, გვ. 158, 172, 256.

³ ს. ჭიჭია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958, გვ. 455-456.

⁴ გ. მარსაგიშვილი, აგარის მონასტრის უძველესი ეკლესია. „ძეგლის მეგობარი“, № 60, 1982, გვ. 15.

⁵ Шмерлинг Г. Церковь в селении Дарквети. „ქართული ხელოვნება“, ტ. IV, გვ. 183-196.

⁶ გ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., „მეცნიერება“, 1968, გვ. 88-41.

⁷ ე. სილოგავა, სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიული ექსპედიციის შიგ. მრავალთავი, X, „მეცნიერება“, 1983, გვ. 287-288.

თავარაზნის სუროთმოძღვრული ძეგლის წინასწარი შესწავლისათვის

ბოგდანოვიკის რაიონი ისტორიული ჯავახეთის ერთ-ერთი ნაწილია. ჯავახეთი თავის კულტურულ და პოლიტიკურ აღმავლობას განიცდის X-XI საუკუნეებში. მრავლად შენორჩენილი ნასოფლარები და ეკლესიის ნანგრევები მოწმობს ამ კუთხის ისტენიურ კულტურულ ცხოვრებას. რეგიონი მდიდარია როგორც ადრეული შუა საუკუნეების, ისე განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებით.

ჯავახეთის სუროთმოძღვრული ძეგლების უმრავლესობა წარმოდგენილია დარბაზული ეკლესიებით. ნაგებობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა X-XI სს შიჯნაზე აგებული ეკლესიები. ამჯერად განვიხილავთ თაფარავანს, როგორც შედარებით უცნობ ძეგლს, რომელიც ხაინტურესია საერთო მოცულობით, თავისებურად გადაწყვეტილი მხატვრული მორთულობით და წარწერით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ძეგლი ნაკლებად ცნობილია. პირველი მკვლევარი, რომელმაც თაფარავანი იხსნა 1898 წელს და იგი ქართული სიძველეებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში მოიხსენია, არის ი. პ. როსტომაშვილი. მან მხოლოდ დააფიქსირა ამ ძეგლის არსებობა. გააკეთა ჩანახატი და გადმოიღო წარწერა. ძეგლის მდგომარეობა უკვე ამ წელს ძალიან ცუდი იყო.¹

აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა 1933 წელს ჯავახეთის ექსპედიციაში ყოფნისას მოინახულა თაფარავნის სიძველეები, ეკლესიის შესახებ ძალიან ნერეუ ცნობას გვაწვდის. იგი უმთავრესად წარწერის ამოკითხვითა და დათარიღებით დაინტერესდა.² ერთი და იგივე შინაარსის წარწერა ორჯერ მეორდება: 1. ქრისტე შეიწყალე პავლე ამინ. 2. ქრისტე შეიწყალე პავლე.

თითქმის ანალოგიური წარწერა გვხვდება ახალქალაქის რაიონში არსებულ კოჩიოს დარბაზულ ეკლესიაზე (მხოლოდ ერთი). იგი როსტომაშვილის წიგნშია მოთავსებული.³ 1. ქრისტე შეიწყალე პავლე. 2. ქრისტე შეიწყალე.

წარწერებში მოხსენიებული პირის - პავლეს ვინაობა ვერ დადგინდა. უფრო მნიშვნელოვანია აკადემიკოს ვიორგი ჩუბინაშვილის ცნობები თაფარავნის ეკლესიის შესახებ. თავის მოხსენებაში, რომელიც მან წაიკითხა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, განხილული აქვს ჯავახეთის სამი დიდი დარბაზული ეკლესია. მოხსენება გამოუქვეყნებელია და მხოლოდ თეზისების სახით არის დაბეჭდილი.⁴

1972 წელს არქიტექტორი თ. ნემსაძე აწარმოებდა მუშაობას სხენებულ ძეგლზე. მანვე შეადგინა ძეგლის რესტავრაციის პროექტი.

1975 წელს მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციაში ყოფნის დროს, კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თანამშრომლებმა, არქიტექტორის დოქტორის რუსუდან მეფისაშვილის ხელმძღვანელობით, მოინახულეს ძეგლი. იგი აღწერილ და აზომილ იქნა სათანადო ფოტოფიქსაციით.

საკვლევი ძეგლი მდებარეობს ბოგდანოვიკის რაიონული ცენტრიდან რამ-



დენიშე კილომეტრის დაშორებით, დღევანდელ სოფელ როდიონმაჭვიძის (წინაპარავანი). სოფელი გაშენებულია ფარავნის გზის პირზე. ეკლესია აღმართულია სოფლის შუაგულში, გაშლილ ადგილას. სოფლის ეს მონაკვეთი შედარებით ნაკლებად არის დასახლებული.

ეკლესია ძლიერ არის დაზიანებული. კამარა თითქმის მთლიანადაა ჩამოქცეული. შერჩენილია მისი ჩრდილო-აღმოსავლეთის მცირე ნაწილი ტრიუმფალური თაღის ქვედა ერთი ქვით და ორი სამი რივი ქვით. სამხრეთით ტრიუმფალური თაღის ქვედა ქვა მოცილებულია იმპოსტს და გადაზნექილია. კედლები შერჩენილია კამარის ქუსლის სიმაღლემდე.

დაზიანებულია აღმოსავლეთის სარკმელი. დასავლეთის კედელში წარმოქმნილია დიდი ღიობი, საპირე ქვები თითქმის შემოცილია. შენობის ფასადებზე ლავვარდანის რამდენიმე ფრაგმენტი შემორჩა.

შენობა სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან წარმოგვიდგება: ეს არის დარბაზული ტიპის ეკლესია, ნაგები როგორც ვარდან. ისე შიგნით მოვარდისფრო-ღვინისფერი ქვის თლილი კვადრებით. მისი გეგმა (13,40 × 6,80 მ) წარმოადგენს წესიერ სწორკუთხედს წაგრძელებულს დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძის მიმართულებით, რომლის აღმოსავლეთის მხარე დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. საკურთხეველში თაღოვანი სარკმლის ორსავე მხარეს გამოყოფილია თითო მცირე ნიში. საკურთხეველი მთავარი ნავისაგან ორი საფეხურით გამოიყოფა. გრძივი კედლები ორი წყვილი პილასტრების საშუალებით იყოფა სამ თანაბარ ნაწილად. პილასტრებს შორის კედელი თითო საფეხურით ღრმავდება. გრძივ კედლებზე პილასტრებს შორის — თანაბარი ზომის, კედლის ბრტყელი თაღებია გადაყვანილი. სატრიუმფო თაღი და კედლის თაღები (ერთი — ჩრდილოეთის თაღის გარდა) მკვეთრი ნახევარწრიული მონაზულობისაა. შესასვლელი ერთია — სამხრეთიდან. შენობა ამჟამად ნათდება აღმოსავლეთის და სამხრეთის ორი თაღოვანი სარკმლით, რომელთაგან მხოლოდ ერთი შემორჩა.


ინტერიერში განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა იმპოსტების მორთულობა. ისინი საინტერესოა არიან, როგორც ფორმით, ასევე დეკორატიული მიდგომით. კამარის საბჯენ თაღთა პროფილირებული იმპოსტების აგების პრინციპი ერთფეროვანია: მაღალი თარო და წაკვეთილი წიბო. თაროს არე ყველგან დათმობილია ორნამენტისათვის, ხოლო სამხრეთის კედლის ერთ-ერთი იმპოსტის არე გლუვია. იგი დატოვებულია ან წარწერისათვის ან საღებავებით შესრულებული ორნამენტისათვის. იმპოსტების ზედა სიბრტყეები დანაწევრებულია გრესილი ლილვებით, თაღნარით, ლენტოვანი წნულით და სხვა. ორნამენტები არ გამოირჩევა ნახატის სირთულით. დეკორი გრაფიკულია და უფრო ნახატის შთაბეჭდილებას ტოვებს (ოშკი, კუმურდო, ბაგრატი). ისინი შესრულებულია სიბრტყობრივად. თითქმის ყველა იმპოსტი მოჩარჩოებულია ლილით. რომლის კუთხეებში მცირე ხვეულები კეთდება. მათგან კი სტილიზებული ფოთლებია გამოზრდილი. კედლის თაღების იმპოსტები უფრო მცირე ზომისაა და მარტივად არის გადაწყვეტილი. განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთის კედლის აღმოსავლეთის იმპოსტი, რომელზედაც საოცარი პლასტიკურობით არის გამოხატული ხვეულები და სტილიზებული ფოთლები. აქ გამოხატული მცირე ზომის ხვეულები (ვოლუტები) წარმოადგენენ



თაფარავანი. საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.
ფოტო რ. მეფისაშვილისა.



Тапаравани. Общій вид с северо-запада.
фото Р. Мефисашвили.



თაფარავანი. სამხრეთი კედლის ფრაგმენტი.
ფოტო რ. მეფისაშვილისა.

Тапаравани. Фрагмент южной стены.
Фото Р. Мефисашвили.

მურჯახეთისა და საღამოს ეკლესიების იმპოსტების გამოძახილს. ოსტატი სტილიზებული ფოთლების მკაფიო და სადა შესრულების მიუხედავად, ცდილობს მათი მდებარეობის შეცვლით შექმნას გარკვეული მრავალფეროვნება. ამ სახის იმპორტების ზუსტი პარალელი ვერ მოიძებნა. შედარებით ახლოა შასთან კაბენის, ალასტანისა და დმანისის „სამუბის“ ეკლესიების იმპოსტების მორთულობა.

სამაგიეროდ საკმაოდ გავრცელებულია კბიდანისებრი ორნამენტი (სათხე,⁶ შეპიაკი,⁷ ალასტანი). ზოგიერთი იმპოსტისათვის ანალოგიების მოძებნა



თავარჯანი. ინტერიერი. სამხრეთ-აღმოსავლეთის კონკრეტული ფოტო ატმოსფერულია.





Тапарაгани. Интерьер. Юго-восточная часть.
Foto P. Мейсашвили.

თავარჯანის ეკლესია. გეგმა.

Церковь Тапаравани. План.

აგობისათვის ა-ცე სპ. არჩევისა, მუხავის მხარე



15. 8. 1975

მნელია, თუმცა აქ არცერთი ისეთი ელემენტი არ არის გამოყენებული, რომელიც ცნობილი არ იყოს გარდამავალი ხანის ორნამენტაციაში; ლენტოვანი წრეები მათში ჩასმული დილაკებით, დიაგონალზე განლაგებული ხვეულები, სტილიზებული ფოთლები, პარალელური ლენტები, რომლებიც ერთგვარად პერავენ და თავს უყრიან შორთულობას.



ფასადების დიდი დაუნაწევრებელი სიბრტყეები აქცენტირებულია განსაზღვრული დეკორატიული ელემენტებით, რომლებიც გამოყოფენ კარ-სარკმლების არეებს. ტრადიციულად ჩრდილოეთის ფასადი შეუქმობლად არის დატოვებული. აღმოსავლეთის ფასადის მორთულობაზე ძნელია ლაპარაკი მისი ძლიერი დაზიანების გამო. სავარაუდოა, რომ სარკმლის ზემოთ ორსავე მხარეს, სიმეტრიულად, თითქმის ფრონტონში, ლომის ფრონტალური გამოსახულებანი უნდა ყოფილიყო, სკულპტურული გამოსახულებიდან მხოლოდ ერთი შემორჩა (დაზიანებული), ჩრდილოეთის მხარეს.

ცხოველების ბარელიეფური გამოსახულებანი გავრცელებულია ქართულ ხუროთმოძღვრებაში (ბოლნისის სიონი,⁵ კუმურდო, სავანე, საღამო).

სამხრეთის ფასადი გამოირჩევა დეკორატიული გადაწყვეტით. მსგავსად აღმოსავლეთისა, ამ ფასადზეც გაწონასწორებულია მხატვრული აქცენტები. შესავლელი ცენტრიდან ოდნავ დასავლეთით არის გადაწეული. მის ორსავე მხარეს ზემოთ (განზე განლაგებული) ორი სარკმელია, რომელთაგან დასავლეთისაზე შემორჩენილია სათაური, ოთხკუთხა მთლიან ქვაში გამოკვეთილი. მოჩუქურთმებულია ბრტყელი კანტით. უახლოეს მაგალითს წარმოადგენს შეზიაკის და ერედვის კარის ტიმპანები.

სამხრეთის ფასადის ყველაზე მახვილ აქცენტს შეადგენს კარის არქიტრავი მისი წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმის ქვა მორთულია გეომეტრიული ხასიათის ცალკეული ელემენტებით. ქვის კიდეები მოჩარჩოებულია ორმაგი ლილვით. ჩარჩოს გასწვრივ ზემოთ და ქვემოთ მიუყვება ერთმანეთში გადახლართული თაღნარი, რომელთა ბოლოებში გამოჩნდილია სტილიზებული სამყურა ფოთლის მოტივი. არქიტრავის ქვის შუა არე დათმობილია ნაკრები ელემენტებისათვის. აქ გამოსახულია ნაირფეხიანი „მოღეჯავე“ ვერები. კომპოზიციას აქეთ-იქიდან სტილიზებული სიციცხლის ხეები ასრულებს. სიბრტყობრივი კომპოზიცია გრაფიკული ნახატის შთაბეჭდილებას სტოვებს. ზუსტი ანალოგი – თითქმის არ არის, მაგრამ თავის ელემენტებით, სამყურა და წრეების მოტივებით მთლიანი სივრცის აუცილებელი შევსებით უახლოვდება კუდაროს, ფოთოლეთის⁶ კანკელის ფილას და სოფ. ირის მახლობლად მდგარ ქვის ფილას. მაგრამ კუდაროს, ირისა და ფოთოლეთის ფილაზე გამოსახულებანი გაფანტულია. თაფარაუნის არქიტრავის ქვაზე გამოსახული კომპოზიცია მარტივია და მოწესრიგებული. აქვე კარის მარჯვნივ ქვაზე გამოკვეთილია ორი სხვადასხვა ზომის რვაქმიანი ვარსკვლავი, სამხრეთის გლუვი ფასადი დასრულებულია კალათისებრი ლენტოვანი წნულის ლავგარდასით, რომელიც ეკრად ჩაჭრილ სიბრტყეზე ამოკვეთილი.

ეკლესიაში ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან დევს ლავგარდანის ქვა, რომელზედაც გამოსახულია ორმაგლილვიანი წრეები; ისინი ერთმანეთს ქვედა ნაწილებში უერთდებიან. სავარაუდოა, რომ ეკლესიის ლავგარდანი ასეთი ორნამენტული მოტივითაც იყო დაფარული.

თაფარაუნის ხუროთმოძღვრისათვის, როგორც დავინახეთ, მთავარი მანიკ კედლის გლუვი ზედაპირა თარაზულად დალაგებული საპირე ქვებით, რომელიც თავისთავად შეტყვევლია. ამავე დროს კედლის ზედაპირს იგი აცოცხლებს კარგად გააზრებული აქცენტებით, რომლებიც გამოყოფენ თვით კედლის ზედაპირსაც, ხოლო მორთულობა აძლიერებს ცალკეული ხუროთმოძღვრული

ელემენტების გამოყოფას (სარკმელი, ლავგარდანი, ბალავრის ქვა) ახეთი მხატვრული მიდგომა დამახასიათებელია. როგორც ვარდამავალი ნაწილი (X-XI სს.) ნაგებობათათვის, ისე X საუკუნისათვის. იმ განსხვავებით, რომ ვარდამავალი პერიოდის ძეგლებისათვის დამახასიათებელია ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი შენკულობის გამოყენება¹¹. თაფარავნის ეკლესიის ფასადები X საუკუნისათვის დამახასიათებელ ზოგად მხატვრულ-სტილისტიკური ნიშნების მატარებელია. თაფარავნის ეკლესიის პროპორციები და გაბარიტები აახლოებს მას X-XI სს. ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან. ვარდა ამისა, თაფარავნის ეკლესიას X-XI საუკუნეების ძეგლებთან აკავშირებს აგრეთვე მხატვრული ხერხები — კედლების გლუვი, დაუნაწევრებელი ზედაპირების გამოყენება და დეკორატიული აქცენტების ზომიერი განაწილება, კარ-სარკმლების მორთვა და დეკორატიული მოტივები.

ინტერიერში ქვაზე ნაკეთი ორნამენტული მორთულობის გამოყენება თავისთავად ავლენს ეპოქისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ამგვარი გადაწყვეტის ანალოგებს შევხვდებით შედარებით ადრინდელი პერიოდის ძეგლებში, რაც ფართოდ არის გავრცელებული IX-X საუკუნეებში.

თაფარავნის ეკლესიის შესახებ ძველ მატიაეებში არავითარი ცნობები არ არის. წარწერაც ამის თაობაზე არაფერს გვამცნობს. ერთადერთ დასაყრდენს ძეგლის აგების თარიღისა და მასში ამ რეგიონის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ზოგი ნიშნის გამოვლინებისათვის გვაძლევს შენობის მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურების შესწავლა. ვარდა ამისა, ამ ძეგლისათვის დამახასიათებელი ნიშნები აერთიანებს მას საქართველოს სხვა რეგიონის ძეგლებთან.

ამ ძეგლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკლესია აგებულია X-XI სს მიჯნაზე.

¹ Ростовов И. Ахалкацкский уезд в археологическом отношении. «Материалы для описания местностей и племен Кавказа». XXV. Тифлис. 1898, стр. 54—59.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 101.

³ Ростовов И. Цит. соч., стр. 68.

⁴ Чубинашвили Г. Н. Группа зальных церквей X—XI века в Джавахетии. VII Научная сессия Отд. Обществ. наук АН ГССР, 20—22 июня, 1942, стр. 7.

⁵ Чубинашвили Г. Н., Северов И. Кумурдо и Никорцинда, как пример разных этапов развития барокального стиля в Грузинском искусстве. «Вопросы истории искусства». Т. I, Тбилиси. «Хеловნება», 1970, стр. 238—258.

⁶ დოლიძე ე. სათბის ხუროთმოძღვრული ძეგლი. ქართული ხელოვნება, სერია 7-А — თბილისი. «მეცნიერება», 1971, გვ. 131-161.

⁷ რჩელიშვილი ლ. თრიალეთის საერისთავოს X საუკუნის ერთი ძეგლი. ქართული ხელოვნება, სერია 6-А, თბილისი. «მეცნიერება», 1963, გვ. 167-182.

⁸ Чубинашвили Г. Н. Болнисский Спаси, Тбилиси, ИИЯИМК, 1940.

⁹ Шмерлинг Р. О. Малые формы в архитектуре средневековой Грузии, АН ГССР, Тбилиси, 1962.

¹⁰ Мелисашвили Р., Цинцадзе В. Архитектура нагодной части исторической провинции Грузии — Шida Kartli. Тбилиси, «მეცნიერება», 1975.

¹¹ ჩუბინაშვილი გ. VIII-IX სს ქართული ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის. საქ. მეც. აკად. შობაზე, ტ. XIII, № 7, 1952.

**ქველთა დაცვის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში ამჟამად იმ-
ყოფის სახელმწიფო მუზეუმი და წყალტუბოს მღვიმოვანი კომპლექსი - სულ
12 ორგანიზაცია.**

ამ ორგანიზაციებს ერთ უწყებრივ დაქვემდებარებაში აერთიანებს მთავარი ამოცანა - საქართველოს მატერიალური კულტურის და არაფორმალური ბუნების ძეგლების მოვლა-პატრონობის, პოპულარიზაციის, რაციონალური გამოყენებისა და ძეგლების ირგვლივ არსებული გარემოს დაცვის ეროვნული საქმე.

ეს ორგანიზაციები მათ წინაშე დასმულ ამოცანას წყვეტენ ორი ფორმით, ა) ძეგლების მოვლა-პატრონობა და გამოყენება ადგილზე (არქიტექტურული, არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალები და წყალტუბოს მღვიმოვანი კომპლექსი) ბ) არქიტექტურული, არქეოლოგიური და ყოფითი ძეგლების შერჩევითი გადმოტანა და დამკვიდრება საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმებში თბილისსა და ახლად ჩამოყალიბებულ აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში - სოხუმში.

შინაარსობლივად მთავარი სამმართველოს დაქვემდებარების მუზეუმ-ნაკრძალები 3 ტიპისაა:

1. არქეოლოგიური (ვანის, ნოქალაქევის).
2. ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული (ვარძიის, უფლისციხის, დავით გარეჯის, გრემ-ნეკრესის, მცხეთის, ქუთაის-გელათის, ჩაქაშისა და თბილისის).
3. ბუნების, (წყალტუბოს მღვიმოვანი კომპლექსი „სათაფლია“).

წინამდებარე კლასიფიკაცია არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი მუზეუმ-ნაკრძალი თავისი სამოქმედო ზონის ფარგლებში აწარმოებს მხარისათვის დამახასიათებელ ისტორიულ-არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება-ექსპონირებას.

რეგიონალური ნიშნით ძეგლების გაერთიანება და ამ გაერთიანების ბაზაზე მუზეუმ-ნაკრძალის შექმნა, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, წარმოადგენს ძეგლების ადგილებზე დაცვისა და პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებას.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გამოიკვეთოს მუზეუმ-ნაკრძალის როლი ქველთა დაცვის პოპულარიზაციისა და გამოყენების საქმეში, მიზანშეწონილია მათი მუშაობის განხილვა შემდეგ ოთხ ძირითად ასპექტში:

1. რეგიონში ქველთა აღრიცხვის, დაცვისა და მოვლა-პატრონობის ხაზით. ყოველ მუზეუმ-ნაკრძალს თავისი დებულება აქვს, რომელიც მოიცავს მთავარ სამმართველოს პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანების გადაწყვეტას ადგილზე; ადგილობრივი სპეციფიკის მაქსიმალური გათვალისწინებით.

ამ თვალსაზრისით გრემ-ნეკრესის მუზეუმ-ნაკრძალმა (დირექტორი



მ. ბუჯიაშვილი) თითქმის დაამთავრა ყვარლის რაიონის ძველთა არსებობა, შეავსო პირველადი ბარათები და შეადგინა რაიონის ძველთა რეკონსტრუქცია.

ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს მცხეთის (დირექტორი ვ. მამუკელაშვილი) ქუთაის-გელათის (დირექტორი რ. ჯავახიძე) და ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალებში.

აქტიურად იმუშავა ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალმა (დირექტორი ნ. მურადაშვილი) მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილებასთან ერთად ასპინძის რაიონის ძველების ამომწურავ აღრიცხვაზე და შედეგად მნიშვნელოვანია, დღემდე აღრიცხული 42 ძველის ნაცვლად აქ გამოვლინდა 142 ძველი.

1982 წელს გრემ-ნეკრესის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომელთა მიერ გაიწმინდა ყვარლის რაიონის 22 ეკლესია, ციხე-კოშკი და 15 სხვა ძველი. მცხეთის რაიონის სოფ. ნიშბისში მუზეუმ-ნაკრძალის ინიციატივით რამოდენიმე მცირე ეკლესიას გაუკეთდა კარები, ვასუფთავდა 9 ძველის ტერიტორია. გაიწმინდა მეთაური ძველის უბნები ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში. ამავე ნაკრძალის თანამშრომლების მიერ მიკვლეულ იქნა და დაუბრუნდა ძველს წლების განმავლობაში ციხე-ქალაქის ტერიტორიიდან მოსახლეობის მიერ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გატანილი ქვები.

მუზეუმ-ნაკრძალები სისტემატიურ და კვალიფიციურ კონტროლს უწევენ ძველების მცველების მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში სათანადოდ ეხმარებიან მათ.

მუზეუმ-ნაკრძალები აწარმოებენ მოლაპარაკებას და ამყარებენ ურთიერთობას საშუალო ორგანიზაციებთან, მათთან ერთად, მთავარი სამმართველოს სპეციალისტების კონსულტაციით, ასრულებენ ძველებზე სამშენებლო და კეთილმოწყობით სამუშაოებს.

2. ძველთა პოპულარიზაციის ხაზით

მუზეუმ-ნაკრძალები სისტემატიურად ეწევიან ძველების პროპაგანდას. მცხეთის, ქუთაის-გელათის, გრემ-ნეკრესისა და საქართველოს ხალხური ხე-როთმოდღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმს (დირექტორი რ. თოდუა) ჰყავთ გამოცდილი ექსკურსიამძღოლები, რომლებიც ატარებენ მაღალკვალიფიციურ ექსკურსიებს საბჭოთა და უცხოელ ტურისტებთან.

მუზეუმ-ნაკრძალები მოსახლეობის, მუშა-ახალგაზრდობისა და მოსწავლეთა პატრიოტულ-ინტერნაციონალური სულისკვეთების აღზრდის მიზნით სისტემატიურად ატარებენ მათთან ლექცია-საუბრებს, ხოლო ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით აწყობენ გამოფენებს და ლექციებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

მუზეუმ-ნაკრძალებში საექსპოზიციო მუშაობის სრულყოფა აგრეთვე ემსახურება ძველების პოპულარიზაციას.

1981 წლის სექტემბერში გაიხსნა მუდმივმოქმედი ექსპოზიცია მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში. 1984 წლიდან ახალ საგამოფენო დარბაზებში დამთვალიერებლები მიიღო ვანისა (დირექტორი ლ. ძავნიძე) და ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალებმა. ძველის პოპულარიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქუთაის-გელათის, დავით გარეჯის (დირექტორი ი. ქვიციანიძე), გრემ-ნეკრესისა



და მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალთა მიერ დამუშავებული და გამოხატვითად მომზადებული გზამკვლევები და ბუკლეტები.

საკრძნობლად გაიზარდა მუზეუმ-ნაკრძალების დამთვალეიერებელთა რიცხვი საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში, დავით-გარეჯის, გრემ-ნეკრესის, ქუთაის-ველათის მუზეუმ-ნაკრძალებში, ხოლო მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის დამთვალეიერებელთა რაოდენობამ გასულ წელს თითქმის ნახევარ მილიონს მიაღწია.

3. ძველთა გამოყენების ხაზით.

1983 წელს მთავარ სამმართველოში მუზეუმ-ნაკრძალების მიერ ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით წარმოდგენილია სია იმ ძეგლებისა, რომლებიც სათანადო ადაპტაციის შემდეგ გამოყენებულ იქნება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებად, რაც სავსებით შეესაბამება ჩვენი ხელმძღვანელობის მოწოდებას ისტორიული ძეგლების თანამედროვე მიზნებისათვის გამოყენების შესახებ.

4. სახალხო ზეიმების ორგანიზაციისა და ნატარების ხაზით.

მუზეუმ-ნაკრძალები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკური მნიშვნელობის დღესასწაულების ორგანიზაციასა და ნატარებაში. უკვე ტრადიციად ქვეულ ზეიმებს „გარეჯობას“ – „გრემ-ქალაქობას“, – „მცხეთობას“, „შოთაობას“, „თბილის ქალაქობას“ და სხვ. ესწრება ათიათასობით მშრომელი, რომლებსაც სათანადო მომსახურებას უწევს მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლები.

მუზეუმ-ნაკრძალების შექმნამ საქართველოს ისტორიულ რეგიონებში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადგილებზე კვალიფიციური კადრების დამზარებას, რამაც თავის მხრივ დადებითი როლი შეასრულა მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლოვანებებიც, რომლებიც შეინიშნება მუზეუმ-ნაკრძალთა მუშაობაში. იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული მუზეუმ-ნაკრძალების მომსახურების დონე არ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს, აღინიშნა დარღვევები საფონდო-საარქივო მუშაობაში, ხოლო რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა კონტროლის შესუსტებას ძეგლებზე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა კადრების სწორ შერჩევასა და განაწილებას.

აღნიშნული საკითხები განიხილა მთავარი სამმართველოს კოლეგიამ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. კოლეგიის გადაწყვეტილების საბაზუხად მუზეუმ-ნაკრძალების ხელმძღვანელებმა განახორციელეს ქმედითი ზომები მითითებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მუზეუმ-ნაკრძალების მუშაობაში ადგილი აქვს რიგ ისეთ ხარვეზებსაც, რომელთა გამოწვევები მიზეზების ლიკვიდაცია არ არის დამოკიდებული მუზეუმებზე და ხშირად არც მთავარ სამმართველოზე.

ასე მაგალითად:

– უმრავლესობა მუზეუმ-ნაკრძალებისა განიცდიან ტრანსპორტის უკონსტანტობას, რის გამოც განხლებულია როგორც ძეგლებთან სისტემატიური მისვლა, ასევე თანამშრომლების კავშირი საცხოვრებელი ადგილიდან მუზეუმამდე (ვარძია, გრემ-ნეკრესი, დავით გარეჯი).

– ზოგიერთი მუზეუმ-ნაკრძალის სამტატო შემადგენლობა მინიმუმამდეა



დაყვანილი (3-5 ერთეული), რაც ბუნებრივია დიდ სიძნელეებს იწვევს დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტაში (ჩაკაში, დმანისი, ვანი);
 — დიდ პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების მომზადება ადგილებზე, რის გამოც, რიგ შემთხვევებში სამეცნიერო და ადმინისტრაციული თანამდებობები დაკავებული აქვთ სამუზეუმო საქმიანობისათვის შეუფერებელ ადამიანებს.

მუწუნარებელია ის ფაქტი, რომ საავტომობილო გზების სამინისტრომ დღემდე ვერ აღადგინა ჩანგრეული ხიდი მტკვარზე უფლისციხეში, რაც არამარტო აფერხებს მრავალათასიანი ტურისტული ჯგუფების უფლისციხის უნიკალურ ძეგლზე მისვლას, არამედ პრეკტივს უკარგავს ჩვენი რესპუბლიკის მშენებლებს საბჭოთა და უცხოეული ხტუმრების თვალში.

მიუხედავად მთავარი სამმართველოს და ქართული ხალხური სუროთმოდღვრებისა და ყოფის მუზეუმის არაერთგზის შუამდგომლობისა, არ არის მიღწეული შეთანხმება ქ. თბილისის № 21 სამარშრუტო ავტობუსის ბოლო ვაჩრების 1,5 კმ-ით გადატანის შესახებ (კუს ტბის გზაზე, მუზეუმამდე) რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დამთვალეიერებლებისა და თანამშრომლების მისვლას ობიექტამდე.

ზოგიერთი მუზეუმ-ნაკრძალი იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე, რაც საგრძნობლად აფერხებს როგორც საფინანსო, ასევე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ ურთიერთობას მთავარ სამმართველოსთან.

ვანისა და ცხაკაიას აღმასკომებმა ვაითვალისწინეს რა შექმნილი სიტუაციის სიძნელეები, აღძრეს შუამდგომლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე მათი ადგილობრივი ბიუჯეტიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ, რაც უდაოდ ლოგიკური და მართებული იქნება.

ყოველივე ზემოთქმულს უნდა მიეკენეს განსაკუთრებული ყურადღება, რათა მუზეუმ-ნაკრძალებისათვის შეიქმნას თანაბარი სამუშაო პირობები, დასმული ამოცანების მაღალ დონეზე გადასაწყვეტად.

მუზეუმ-ნაკრძალების მუშაობის პრაქტიკამ დაადასტურა რესპუბლიკაში მათი ქსელის მომავალი განვითარების აუცილებლობა.

ამასთან, ერთი მხრივ, უნდა მოხდეს სრულყოფა უკვე არსებული მუზეუმ-ნაკრძალების მუშაობისა მათი საშტატო, ფინანსიური და ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ხოლო მეორეს მხრივ შეიქმნას ახალი მუზეუმ-ნაკრძალები.

მუზეუმ-ნაკრძალების ქსელის განვითარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ ჰარმონიულ დისლოკაციაზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ახალი მუზეუმ-ნაკრძალის ადგილის შერჩევისას ვათვალისწინებული უნდა იქნეს მისი მოხერხებული განთავსება მეთაური ძეგლების მიმართ.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებით მდიდარ ისეთ რეგიონებში, როგორცაა შიდა ქართლი, სამხრეთ-ოსეთი, აფხაზეთი, აჭარა, ფშავ-ხევსურეთი და სხვ. დღეისათვის მუზეუმ-ნაკრძალები არ გაგვარჩნია. სწორედ ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს უპირატესად მუზეუმ-ნაკრძალების ქსელი ჩვენს რესპუბლიკაში.

**საქართველოს ქალაქების ისტორიულად ჩამოყალიბებული
გარემოს დაცვის პრობლემა**

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ამჟამინდელი ეტაპი სხვა მნიშვნელოვან სასიკეთო მოვლენებთან ერთად ხასიათდება ძეგლის ცნების გაფართოებით როგორც ქრონოლოგიური ჩარჩოების თვალსაზრისით, ასევე ტოპოლოგიური კუთვნილებისა და სტილისტური მახასიათებლების მხრივ. ამ ფონზე დღითიდღე მატულობს ინტერესი ისეთი, დღეს უკვე საყოველთაოდ სრულფუნქციონირებელი ძეგლებად აღიარებული ობიექტებისადმი, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქთმშენებლობის (ქალაქგეგმარების) ხელოვნების ნიმუშებს.

საქართველოს პირობებში ამ ჯგუფის ძეგლები მოიცავს სხვადასხვა რანგის ობიექტების ფართო წრეს. ესაა განსახლების ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემები (უშველის თემი); ისტორიული ქალაქები (სიღნაღი) და სოფლები (შატილი), ან მათი ბირობები (თბილისი); ქალაქების გეგმარება (ფოთი) და განაშენიანება (თელავი) ან მისი შემორჩენილი ფრაგმენტები (ახალციხე); დასახლებების ხასიათი და მასშტაბი (ქუთაისი, ბათუმი); არქიტექტურისა და ბუნების შერწყმის ნიმუშები ანსამბლებისა (ახალი ათონი) ან კომპლექსების (ძველი ვაგრა) სახით; ისტორიული ბაღ-პარკები (წინანდალი); ძველი სასაფლაოები.

ამგვარი ძეგლების დაცვა, მათი მოვლა-პატრონობა შედარებით ახალი საქმეა; ჩვენში მას მყარი ტრადიციები არ გააჩნია. არც პროფესიულ და საზოგადოებრივ ცნობიერებაში აქვთ ქალაქთმშენებლობის ხელოვნების ნიმუშებს დამკვიდრებული სათანადო ადგილი და არც მათი დაცვის პრაქტიკული მეთოდებია დახვეწილი. მიზეზი ის გახლავთ, რომ გარკვეულმა გარემოებებმა განაპირობა ჩვენში ძეგლის ცნების შეზღუდული სტერეოტიპის ჩამოყალიბება — მისი მეტ-ნაკლები ვაიგივება ე. წ. „მოცულობითი“ არქიტექტურის ნიმუშებთან. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ისტორიული ქალაქების, ქალაქური გარემოს დაცვა ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნების საერთო სახალხო საქმის პირველხარისხოვან ამოცანად.

ქალაქთმშენებლობის ძეგლთა დაცვის სირთულე გამომდინარეობს ორი გარემოებიდან: ჯერ ერთი ისინი, როგორც წესი, ცოცხალი, განვითარებადი ორგანიზმებია და შემდგომ, ამ შემთხვევაში დასაცავია არა ცალკეული ნაგებობა ან ნაგებობათა ჯგუფი, არამედ მრავალი კომპონენტებისაგან შემდგარი ქალაქური გარემო, ამ კომპონენტებს შორის სხვადასხვაგვარი კავშირებითურთ. ქალაქის ამგვარი ბუნება კარგად ესმოდა კ. მარქსს, რომელიც თვლიდა, რომ ქალაქი როდია მხოლოდ მისი შემადგენელი სახლების ჯამი, რომ ის თავისებურ ორგანიზმს წარმოადგენს.

სწორედ ამიტომაც, რომ როდესაც ლაპარაკობენ ქალაქების ისტორიული უბნების დაცვაზე, გულისხმობენ არა მხოლოდ ცალკეულ ნაგებობებს, თუნდაც ძეგლებს, არამედ გეგმარებით სტრუქტურას, ქუჩების ქსელს, განაშენიანების მასშტაბსა და ხასიათს, რელიეფს, გამწვანების სისტემას, მცირე არქიტექტურულ ფორმებს, ტრადიციულ არქიტექტურულ ელემენტებსა და ფერთა გამას. ყოველივე ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოა, რომელიც ჩვენთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ყოველდღიური ცხოვრების მატერიალურ-



სივრცითი გარსი. ეს ის გარემოა, რომელიც ზეგავლენას ახდენს პატრიოტიზმის, ქალაქური თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე და, საბოლოოდ, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი განვითარების უწყვეტ ხასიათს.

ამიტომ, რომ რადიკალური ხარვეზონსტრუქციო ღონისძიებები ქალაქების ისტორიულ უბნებში თავდაპირველად, როგორც წესი, ვერ იხვევს პოპულარობას ქალაქის მოსახლეობაში. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ჩვენში როდია შემჩნეული და ამდენად არ შეიძლება მიეწიროს ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ სიფაქიზეს წარსულისადმი. აი რას წერენ სრულიად განსხვავებული კულტურის მატარებელი მკვლევარები:

«Когда сносятся старое здание, или когда перестраивается старая улочка или переулок, когда изменятся знакомый городской силуэт, неизбежно возникает ощущение утраты, как будто тебя насильно разлучили с любимым человеком. Отсюда жалобы и протесты против разрушения старых городских построек, и это нечто большее, чем простой консерватизм, это реакция на нарушение общения с городской средой»¹.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია, რომ ქალაქელებისათვის XIX საუკუნის და უფრო გვიანდელი ე. წ. „რივითი განაშენიანება“ უდავო ღირსებების მატარებელია, მაშინ როდესაც პროფესიული წრეები ჯერ-ჯერობით არ იზიარებს ამ პოზიციას. და ეს მხოლოდ ჩვენთვის როდია დამახასიათებელი: «Сохранение (ივლისხმება ქალაქის არქიტექტურულ-სივრცითი გარემოს შენარჩუნება — ვ. ვ.)

признается, когда оно относится к тому прошлому, которое есть давнее прошлое, но вчерашнее рассматривается как нечто заслуживающее только слова»².

სამწუხაროდ, ჩვენს პრაქტიკოს-არქიტექტორებს, მხატვარ-მონუმენტალისტებს, დიზაინერებს ჯერ-ჯერობით არ გამოუმუშავდათ ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოსადმი პასუხისმგებლობისა და პატივისცემის პროფესიული ვრძნობა. ქალაქების ისტორიულ უბნებში დაპროექტებული, თავისთავად ხშირად საინტერესო შენობები, როგორც წესი, „ცალობრივ“, განყენებულ ხასიათს ატარებს. თანამედროვე არქიტექტურულ შემოქმედებაში ვაგრძელებას ვერ პოულობს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი თვისება, როგორცაა ნებისმიერი დანიშნულების ნაგებობის გარემოსთან ოსტატური შერწყმა. მაგალითების მოყვანა უხერხულადაც კი მიმაჩნია — ისინი იმდენად ქრესტომატულნი არიან.

განსაკუთრებით ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს ქალაქის ისტორიული უბნების საერთო მასშტაბური წყობა. ახალმა აქტივორმა ელემენტმა შეიძლება დაარღვიოს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული თანაფარდობები და მოდულუბი. თბილისში, კომკავშირის ხეივანზე თავის დროზე დადგმულმა „ქართლის დედამ“ სწორედ ახალი მოდული შემოიტანა ძველი თბილისის ყველაზე მომხიბვლელ სურათში. ეს ქანდაკება დედაქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოდაც კი იქცა; მაგრამ ახლა, ჩვენში ქალაქური გარემოსადმი დამოკიდებულების ახალ საფეხურზე, მისი გავლენა ძველი თბილისისა და პირველ რიგში ნაოყვალას საერთო იერსახეზე უკვე საეჭვოდ მიგვაჩნია.

ხშირად ისტორიულ გარემოში ახალი ობიექტების დაპროექტებისას გაუმართლებელია თვით მეთოდური მიდგომაც. დომინირებს ისტორიზმი, ვასული პერიოდებისათვის დამახასიათებელი ფორმებისა და ელემენტების შეუფერ-

ბელი „ციტირება“. ამჟამად დროს სრულიად უგულვებელყოფილია ისეთი ეფექტური და მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული ზერხი, როგორცაა არქიტექტურულ-მხატვრულ კონტრასტებზე აგებული, ქალაქისათვის სრულიად ბუნებრივი, ძველისა და ახლის ცხოველი დიალოგი:

«Включение современного здания в старую застройку может быть допустимо. В каждом случае необходимо придерживаться определенных норм в отношении размеров и технологии, чтобы новое здание гармонировало по крайней мере с соседними, не будучи однако их имитацией.

(ზაზი ჩემია - ვ. ვ)“. ამგვარი მავალითები ძალიან შორიდან რომ არ მოვიხსნათ, საქმარისია გავიხსენოთ ლიტვის ამ თვალსაზრისით შთამბეჭდავი პრაქტიკა. ფრჩხილებში აღვნიშნავთ, რომ ლიტვის ქალაქების რიგითი განაშენიანება, სწორედ რომელიც ქმნის ქალაქურ გარემოს, გაცილებით ძველია თუნდაც თბილისისაზე.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ქალაქების, ისტორიული უბნების, ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობა, მცირე არქიტექტურული ფორმები და ვიზუალური ინფორმაციის სისტემა - მაღაზიების ვიტრინები, რეკლამები, აბრები, განცხადებები, მაჩვენებლები, ნიშნები. ქალაქის მხატვრული სახის ეს მხარე ჩვენში სტიქიურად ვითარდება. საქმარისია თვალი გადავავლოთ შენობების პირველ სართულებში განთავსებულ სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტების ვიტრინებს, რომელთა გადაწყვეტა უმრავლეს შემთხვევაში სრულიად უგულვებელყოფს შენობის საერთო ტექტონიკურ წყობას, როგორც წესი, ასეთი ვიტრინები ჩნდება პირველი სართულის კედელში ღიობის მაქსიმალური გაფართოებით და შემინვით. აქაც საგრძობლად ჩამოვრჩებით; „შეშოშინია“ ხომ კარგა ხნის განვლილი ეტაპია; ამჟამად გაცილებით უფრო ფასდება არსებული გარემოსადმი კორექტული მიდგომა, შესაბამისი ეპოქის სულის შენარჩუნება.

განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს მოსაპირკეთებელი მასალის შერჩევაში. ყოვლად გაუმართლებელია დღეს თითქმის წესად ქვეული პრიმიტიული სქემა: „უკეთესია ის მასალა, რომელიც უფრო ძვირფასია“. რუსთაველის პროსპექტის რიგი შენობების გრანიტით მოპირკეთების ტენდენცია ამ მხრივ საუკეთესო ილუსტრაცია გვკონია. უფრო საფუძვლიან თეორიულ და მეთოდურ დასაბუთებას მოითხოვს რესტავირებული უბნების კოლორისტული გადაწყვეტა და სხვა.

ქალაქების ზემოთ მოყვანილ პრობლემათიკას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ქალაქთმშენებლობის ძველები ორი სახელმწიფოებრივი უწყების - ძველთა დაცვის ორგანოებისა და ქალაქგეგმარებითი ორგანოების მოვლა-პატრონობის საგანი უნდა იყოს. ძველთა დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით ეს ასეცაა განსაზღვრული; ამ ორი უწყების დამაკავშირებელ რგოლს ქალაქებში ისტორიული უბნების დაცვის ზონების დადგენა, დამტკიცება და ზონებში გარკვეულ რეჟიმზე ერთობლივი მეთვალყურეობა წარმოადგენს.

თუ ამ მხრივ საქმის პრაქტიკულ მხარეს გადავხედავთ, აშკარად შევამჩნევთ, ქალაქთმშენებლობის ძველებისათვის სასიკეთო ტენდენციას. 1983 წლამდე თბილისის გარდა საქართველოს არც ერთ ისტორიულ ქალაქს არ ქონდა დამტკიცებული დაცვის ზონა. ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. შარშან ძველთა დაცვის მთავარ სამმართველოში ჩამოყალიბდა საგანგებო ჯგუფი, რო-



მელსაც დაეკისრა ქალაქგვეგმარების ძეგლების აღრიცხვის მოწესრიგება. სხვა ტემამი მოყვანა, დაცვის ზონების შედგენა.

ამ ჯგუფის მეცადინეობით პირველ რიგში შედგა საქართველოს ისტორიული ქალაქების სია. სიის არსებული წესით დამტკიცების შემდეგ ეს ქალაქები მიიღებენ განსაკუთრებულ სტატუსს. რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს მათ მოვლა-პატრონობას. პარალელურად ჯგუფმა დაიწყო მუშაობა რამდენიმე ქალაქისათვის დაცვის ზონების დადგენაზე.

სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ინსტანცია გაუშარბლელად აბრკოლებს სათანადო დოკუმენტაციის მსვლელობას, თუმცა დრო ისედაც ბევრია დაკარგული. ქვევით მოგვყავს რამდენიმე მაგალითი, რომელმაც შეიძლება დაარწმუნოს ზოგიერთი უწყების ხელმძღვანელი ჩვენი ქალაქების ისტორიული გარემოს დაცვის აქტუალობაში.

გაგრა. ამ ქალაქ-სურორტის სახელი ჩვენს შეგნებაში პირველ რიგში უკავშირდება ე. წ. „ძველ გაგრას“. და სწორედ ახლახან ძველი გაგრის ისტორიულმა გარემომ, კერძოდ, ზღვისპირა პარკმა ვანიცადა ყოვლად გაუშარბლელი სახეველილება. მიუხედავად ძველთა დაცვის ორგანოების ჩარევისა პარკში აშენდა ამ ადგილისათვის შეუფერებელი საბავშვო მოედანი. საშიშროება ემუქებოდა ყველასთვის კარგად ცნობილ სასტუმრო „გაგრიფშს“, რომელიც გაგრის სიმბოლოადა მიჩნეული. ამ სასტუმროს ადგილზე გათვალისწინებული იყო მრავალსართულიანი სასტუმროს აშენება. საბედნიეროდ. ამ შემთხვევაში ძველთა დაცვის პოზიციები გათვალისწინებულ იქნა და ერთადერთი გამართლებული გადაწყვეტის – მწკაეე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საძილე კორპუსის დაშლისა და თავდაპირველი გარეგანი სახით აღდგენისათვის – რეალური საფუძველი შეიქმნა.

ქალაქის ისტორიული გარემოსათვის თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია თუნდაც ერთ გაუშარბლელ ნაგებობას, კარგად ჩანს ბათუმის მაგალითზე. აქ აშენდა სასტუმრო „მედეა“, რომელიც ქალაქმშენებლობის ძირითადი პრინციპებისა და ადგილობრივი ქალაქგვეგმარებითი ტრადიციების უგულვებლყოფითის ამკარა მაგალითია. შედეგი – თვალშისაცემი დისონანსი, ქალაქური გარემოს რღვევა.

კიდევ უფრო სავალალოა ჩვენს პირობებში უნიკალური ქალაქის – სიღნაღის პრაქტიკა, სადაც ახლახან აღდგენილ უბნებს ამახინჯებს ქალაქის შემოსასვლელში წამოჭიმული ფარმაცევტული პროფილის ნაგებობა, რომელიც როგორც იტყვიან, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს...



„...წარსულის გარეშე არ არსებობს მომავალი“. ძველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის – ICOMOS-ის ეს დევიზი ჩვენში ქალაქების ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს დაცვის თვალსაზრისით შეიძლება სახეველილ იქნას ასეთნაირად: „წარსული არ არის მომავლის გარანტია“. ისტორიული ქალაქების, ქალაქური კულტურის, მთელი ქართული კულტურის მომავლის გარანტიაა მხოლოდ ამჟამინდელი ყოველდღიური მეცადინეობა, რომლის საზრუნავს და ასპარეზს თვით ეს ქალაქები წარმოადგენს.

1 Цонне Л., Лефевр Л., Возникновение зон общения в современном обществе. «Культура. Пространство и коммуникация», 1983, № 1, М., 131.

2 Линч К., Образ города. М., Стройиздат, 1982, стр. 151

3 Санпаоლი П. Охрана и реставрация исторических кварталов и городов. В сб.: «Консервация и реставрация памятников и исторических зданий». М., Стройиздат, 1978, с. 298.

საქართველოს ისტორიული ბალ-პარკების დაცვის პრობლემა

როგორც კულტურის ყველა ძეგლი, საბაღო-საპარკო და საერთოდ ღანდ-შაფტური ხელოვნების ნიმუშები ახახავენ ხალხის კულტურისა და ყოფა-ცხოვრების დონეს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაბამის ეტაპზე. ამ სახეობის ძეგლების დაცვის აუცილებლობა გამომდინარეობს მათი ესთეტიკური და შემეცნებითი მნიშვნელობიდან და ნჭიდროთაა დაკავშირებული თანამედროვეობის ისეთ აქტუალურ პრობლემასთან, როგორცაა ბუნების გონივრული გამოყენება და გარემოს დაცვა.

საქართველოს საბაღო-საპარკო ხელოვნება ნაკლებადაა შესწავლილი, რის გამოც თანამედროვე საპარკო მშენებლობაში და მოვლა-პატრონობაში დამუშავებულია საკმაოდ უხეში შეცდომები, როგორც არქიტექტურულ-კომპოზიციურ, ასევე დენდროლოგიური თვალსაზრისით.

ქართული კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპები შეინიშნება საბაღო-საპარკო ხელოვნებაშიც. საბაღო-საპარკო არქიტექტურის ჩამოყალიბებაზე ყოველთვის უდიდეს ზემოქმედებას ახდენდა საქართველოს მრავალფეროვანი ღანდშაფტი, ამიტომაც ადგილობრივი პირობების, არქიტექტურული თავისებურებების შესწავლა წარმოადგენს ამ ხელოვნების შემდგომი განვითარების წინაპირობას.

ივ. ჯავახიშვილი განიხილავს საქართველოს საბაღო-საპარკო ხელოვნებას, როგორც სირიულ-ბაბილონური სტილიდან აღმოცენებულს (შემდეგში არაბულ და სპარსულ კულტურასთან დაახლოებულს). რადგან სწორედ ძვ. წ. VII-VI სს. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში – სირიასა და ბაბილონში – დეკორატიულმა ბალთმშენებლობამ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ამ სახის დეკორატიული ბაღები საერთოდ არ არის შემორჩენილი და მხოლოდ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება მათზე საუბარი (მცხეთაში – მეფის ბაღი – IV ს.). მისივე გამოკვლევებიდან ცხადი ხდება, რომ საქართველოში დეკორატიულ ბაღებს ერქვათ განსაკუთრებული სახელები „წალკოტი“ და „სამოთხე“¹.

შედარებით მეტი, ბალ-პარკებთან ამა თუ იმ სახით დაკავშირებული ისტორიული მასალა ჩნდება XI საუკუნიდან, როდესაც ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოდ გვევლინება. ამ პერიოდის ღანდშაფტური ტიპის დეკორატიულ ხეხილის ბაღებში ე. წ. „წალკოტი“ მთლიანად ვლინდება ქართული საბაღო-საპარკო ხელოვნების თავისებურებანი. მაგალითად. ქ. ქუთაისში ბაგრატი III-ის დროს მწვანე ყვავილას მთაზე პატარა ბაზილიკასთან გაშენდა ბაღი, რომელიც წარმოადგენდა მეფეების დასახვენებელ და გასართობ ადგილს². აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის საბაღო მშენებლობას განეკუთვნება საქართველოში სამონასტრო ტერიტორიების გარემოს კეთილმოწყობაც, როგორც წესი საკულტო ნაგებობები განსაკუთრებული ბუნებრივი სილამაზის ადგილებში შენდებოდა. გავიხსენოთ თუნდაც ისეთი მონასტრები, როგორიცაა გუდარეზი, გელათი, მარტვილი და სხვა.

4. ძეგლის მეგობარი № 67, 1984 წ.



საქართველოს საბალო-საპარკო ხელოვნების გენეზისის შესწავლისათვის აგრეთვე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ეზოების კეთილმოწყობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. ყველა უცხოელი მოგზაურის ყურადღების ცენტრში ექცეოდა კარ-მიდამო, სადაც შეიძლებოდა ვართობა, დახვეწება, სტუმრის მიღება და გარემოს სილამაზით განსაკუთრებული განწყობის შექმნა.

შუა საუკუნეებში, მსგავსად შეზობელი ქვეყნების ქალაქებისა, საქართველოს ქალაქების ცხოვრებაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები და მათში ქალაქის მოსახლეობის საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ბაღები გვხვდება როგორც ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე თვით ქალაქის გაღვივების შიგნით. ეს კარგად ჩანს, მაგალითად, 1802 წლის ქ. გორის რუკაზე. ანალოგიური სურათია თელავში, დუშეთში, სიღნაღში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში¹.

XVII ს. თბილისის ბაღებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელიც აღფრთოვანებული იხსენიებს ბაღებში ჩაფლულ ქალაქს, რომლის ყველაზე ღირსშესანიშნავ ნაგებობად თვლის მეფის სასახლეს ლამაზი ბაღით². ამ პერიოდის ბაღს მიეკუთვნება აგრეთვე ე. წ. „ბეპბუღან ბაღი“, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული აქვს გარე-ავლაბრის ჩრდილო-აღმოსავლეთით³.

თბილისის მიდამოებში ბაღები პქონიათ, როგორც ფეოდალურ არისტოკრატობას, ასევე ქალაქის მაღალი ფენის წარმომადგენლებსაც. XVII-XVIII სს საბუთებში ხშირად მოიხსენიება თბილისის მოქალაქეების ბაღები ორთაჭალაში, ვერეში, სეიდაბადში, კრწანისში; აღსანიშნავია აგრეთვე დერსიჭალის, სოლოლაკის და თბილეთის ბაღები⁴.

ყველაზე ღირსშესანიშნავი ეტაპი საბალო-საპარკო ხელოვნების განვითარების ისტორიაში საქართველოსათვის XIX საუკუნეა. ამ პერიოდში შეიმჩნევა ევროპული ტიპის ქალაქური კულტურის მძლავრი შემოტევა და იქმნება ისეთი ხელოვნების ნიმუშები, როგორიცაა წინანდლის ბაღი, ლიკანის ბაღი, ქუთაისში და შავე ზღვის სანაპიროზე გაშენებული პარკები, რომელთა უმეტესობის დღევანდელი მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

ამ პერიოდის თბილისში ჩნდება ისეთი ბაღებიც, როგორიცაა მუშტაიდი, ე. წ. „ალექსანდრეს ბაღი“ (ამჟამად კომუნარების ბაღი), თბილისის ბოტანიკური ბაღი — ძველი მეფის ბაღის ნაწილში, რომელიც იმ დროისათვის დენდროლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენდა ყველაზე მდიდარ ბაღს მთელ ამიერკავკასიაში⁵. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ქალაქი უმეტესად ძველი ბაღების ხარჯზე იზრდებოდა. განაშენიანებამ საბოლოოდ შთანთქა სოლოლაკის ბაღები. დღეს სოლოლაკის განაშენიანებაში ბევრი შიდა ეზო გამწვანებულია ქართველ მეფეთა საგვარეულოს ბაღებისა და ვენახების აჩვენების შემდეგ შემორჩენილი ნარგავებით. იგივე ითქმის ე. წ. „კოლონისტების“, ვერესა და ორთაჭალის მხარეს მდებარე ბაღებზეც.

მეორე მხრივ XIX საუკუნეში ჩვენში მკვიდრდება საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მწვანე განაშენიანება და რადგან ქალაქის მცხოვრებთა წეს-ჩვეულებები XIX საუკუნეში ჯერ კიდევ წარსულის მკაფიო კვალს ატარებდნენ, ამან საზოგადოებაში გამოიწვია ვარკვეული კრიტიკა. თუ შე-



ვადარებთ სხვადასხვა პერიოდში შედგენილ თბილისის რუკებს, დაინახეთ, რომ რუკაზე ბაღები ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი.

ბაღებისა და ნარგავების ინტენსიურმა კლებამ გამოიწვია ქალაქის მიკროკლიმატის საგრძნობი შეცვლა, რის შესახებაც ილ. ჭავჭავაძის „ივერია“ წერდა: „უწინ თბილისი აყვავებული და ამწვანებული იყო ხშირის ხეხილითა და ბაღებით... დროთა განმავლობაში ეს ბაღები გადიკაფნენ. მათ აღვილს აღიმართნენ უზარმაზარი სასახლენი, შენობანი, შეჯგუფდნენ, პერის თავისუფალი ტრიალი მოიშალა, დაიხშო პერი და ესლა ზაფხულობით ადამიანს ხული ველარ მოუტრიალებია“¹.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს გააჩნია საპარკო მშენებლობის მრავალწლოვანი გამოცდილება, როგორც პრაქტიკული მნიშვნელობის, აგრეთვე არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით. მიუხედავად თანამედროვე პირობებში მწვანე ნარგავების ფორმალური სიუხვისა, დღევანდელ დღემდე მოღწეული საბაღო-საპარკო ხელოვნების ნიმუშების ფართობები დღითიდღე მცირდება და მახინჯდება. ეს მრავალი მიზეზითაა გამოწვეული. მაგალითად, პარკების ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის მშენებლობებთან დაკავშირებით ხდება არსებული გეგმარების უგულვებელყოფა, რაც იწვევს საბაღო-საპარკო ხელოვნების უმთავრესი კომპონენტის – კომპოზიციური კავშირების რღვევას (მაგალითად, გაგრის ზღვისპირა პარკი, წინანდლის ბაღი, თბილისში – კომუნარების სახ. ბაღი, ს. ორჯონიკიძის სახ. პარკი და სხვა.)

საბაღო-საპარკო ხელოვნების ნიმუშების დაცვის მიზნით ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს ქალაქგეგმარების ძველთა ჯგუფში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ინსტიტუტისა და თბილისის ბოტანიკური ბაღის სპეციალისტებთან კონსულტაციით, შედგა საქართველოს ისტორიული ბაღ-პარკების სია, რომელიც წარმოადგენს ბაღ-პარკების სახელმწიფო დაცვაზე აყვანის წინაპირობას. სიაზე მუშაობის შემდგომი ეტაპი გვესაჩება ბაღ-პარკების, როგორც ძველების, კატეგორიის დაზუსტებაში, თითოეულ მათგანზე საალრიცხვო დოკუმენტაციის შედგენით; დაცვითი ზონების დადგენაში, რის საფუძველზეც ისტორიული პარკების შემდგომი კეთილმოწყობა და რეკონსტრუქცია დაიშვება მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით, ძველთა დაცვის ორგანოების ნებართვით.

ჩვენ არა ვართ განუბიჯრებული საბაღო-საპარკო ხელოვნების ნიმუშებით და ის ერთეულები, რომლებიც დღემდე შემოგვრჩა, საჭიროებს არანაკლებ ყურადღებას, ვიდრე ჩვენი კულტურის სხვა სახეობის ძეგლები.

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი 11, თბილისი, „თედორია-ცოა“, 1935, გვ. 100-117.
² ვ. ჩავეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. 1960, გვ. 270-298.
³ Мескиа Ш. А. Города и городской строй феодальной Грузии. Тбилиси, изд. ТГУ, 1959, стр. 425.
⁴ Георгьберидзе Д. М. Сады и парки Грузии. М., Стройиздат, 1969.
⁵ თ. კვიციანი, თბილისის აღმშენებლობის ფრაგმენტები სახელწოდებებში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1983, № 11, გვ. 112.
⁶ გ. ხუციშვილი, ჩემი თბილის-ქალაქი. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1981, გვ. 157.
⁷ Регель А. Изящное садоводство и художественные сады. С-пб, 1896.
⁸ ვ. ბერიძე, თბილისის ხეროთმოძღვრება. 1901-1917 წლები, ნაწ. 11, გვ. 55.

წიგნიერების საკითხის საერთაშორისო კვლევის შესახებ

ქართული ისტორიული წყაროების ურთიერთშეჯერება საშუალებას გვაძლევს ახლებურად გავაშუქოთ მრავალი არქიტექტურული ძეგლის ისტორია.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების შემდეგ, მირიან მეფემ მცხეთაში პირველი ეკლესია ქვით ააშენა, ამასთან, ქალაქის გარეთ, იმ ბუჩქის ადგილას, რომელშიც წმინდა ნინომ მცხეთაში მოხელისას თითქოს ბინა დაიდო.

„მამინ წმიდამან ნინო ქალაქისა ზღუდეთა გარეგნით პოვა ქოჩი ერთი ბრწყინი მაცულისა, სადა აწ არსს საკურთხეველი ზემოსა ეკლესიისა საუბისკობოსო (სხვა ვარიანტით – სამთავარუბისკობოსო) და იგი შექმნა საყოფელად თხსა“ (01-94).

„ხოლო წმინდა ნინო ილოცედა დაუცხრომლად საყუდელს თხსა მაცუალთა მათ ქუეშე“ (01-103).

„და შექმნა ხახშიდი (ჯვრისაჲ) ნახსლევისაჲ: და მუნ დაადგრა და ილოცვიდა: და ადგილი იყო ზღუდესა გარტყან: (ხოლო) მათ მაცუალთა ადგილი არს ზემოისა ეკლესიისა საკურთხეველისა ადგილი“ (03-712). ტრადიციის თანახმად ეს ადგილი ნაგულისხმევია სამთავროს ტერიტორიაზე.

სამთავროს ეკლესიის შესახებ წყაროები შემდეგ ცნობებს გვაწვდიან: „და იწყო შეფემან (მირიან-ბ. მ.) შენებად ქვითა ეკლესიათა გარეუბნისასა“ (04-387)

ამ დროისათვის მცხეთას მოსულები არიან მირიან მეფის მიერ მოწვეული „ქვით ხურონი ფრიად მრავალნი“ (01-117), და ბუნებრივია სამთავროს ეკლესიის აშენება თავის საქმის კარგ მცოდნეებს შეუხრულებიათ.

„იწყეს ხუროთა შენებად ეკლესიისა გარეგნივ ზღუდესა, მაცუალთა მათ ზედა, საყოფელსა წმიდისა ნინოსსა, სადა აწ არს ეკლესია საუბისკობოსო“ (01-118).

მემატანიან „აწ არს ეკლესია საუბისკობოსო“ იმის მანიშნებელია, რომ მის დროს ჯერ კიდევ არსებული ეკლესია აშენებულია „მაცუალთა მათ ზედა“. იგივეს იმეორებს „მოქცევაჲ“:

„წარვიდა მირიან მეფე და ყოველი ვრი, რამეთუ იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ქვითა. და განიშორეს მეოთხესა წელსა“ (05-324);

„ყოველი ვრის“ „მოწაწილეობა, მეფის სწრაფვა და მშენებლობის 4 წელი იმის მაუწყებელია, რომ ტაძარი ფრიად მნიშვნელოვანი და მასშტაბური იყო. მაშასადამე, სამთავროს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიას ეწოდება „ზემოა“ განსხვავებით „ქუე მოასა“, ანუ სვეტიცხოვლის ეკლესიისა.

მირიანის პირით წყარო გვაუწყებს: „და აღვაშენე ეკლესიაჲ მაცუალთა მათ ზედა ნინოსთა, და აღვაშენე ზემოა ეკლესიაჲ თავისა წემისათვის ქვითა და ერისა სიმრავლისათვის და ექმენ მას შინა საქმეჲ ქმნული უწინთა (03-801).


ნინოს გარდაცვალების შემდეგ „მირიან მეფემან განასრულა ეკლესია საუბისკობოსო და აღასრულა სატფურება მისი მრავლითა დიდებითა“ (01-129).



მცხეთა გ. ლევანს მიხედვით.

Михета по Г. Лежава.

სამთავროს ეკლესია სამეფო მნიშვნელობისაა, განკუთვნილია ერის „სიმ-
რავლისათვის“ და როგორც ჩანს განსაკუთრებულადაა შეწყული.



ზევთის სამთავრო.

Мухета. Самтвარო.

გარდაცვალების შემდეგ, მეფე მირიანი და დედოფალი ნანა დაასაფლავეს სამთავროს ეკლესიაში. „და დაეფლა (მირიანი) საშუაალსა სუეტსა სამხრითსა ჩრდილოეთ კერძო და მას სუეტსა შინა არს ნაწილი ღმრთივალმართებულისა მის სვეტისა, და მეორესა წელსა მოკუდა ცოლი ნანა და დაეფლა დასაველეთ კერძო მასვე სუეტსა, სადა მირიან მეფემ დამარხულ იყო“ (01-130) (05-324).

ეს ცნობა იმის მაჩვენებელია, რომ ეკლესია საკმაოდ დიდი იყო, მას პქონდა საყრდენი სვეტები, თითო რიგში სულ ცოტა სამი, რადგან მეფე მირიანი დაკრძალეს საშუალო სვეტთან. წყაროს შემდგენელის დროს, ის სვეტი, რომელთანაც დაკრძალეს მეფე მირიანი ჯერ კიდევ არსებობდა: „და მას სუეტსა შინა არს ნაწილი“ სწორედ ამაზე მიუთითებს.

საქართველოს ყველა ძეგლმა განიცადა დაზიანება, იქნებოდა ეს მტრის ძალადობის შედეგი თუ მიწისძვრით გამოწვეული. არც მირიანის მიერ აშენებული სამთავროს ეკლესია გადაურჩებოდა ნგრევას. ერთ-ერთი ასეთი მომენტის ამსახველია შემდეგი ცნობა: ვახტანგ გორგასალის დროს როცა იგი სამოცი წლისა გახდა სპარსელებმა ქართლი დალაშქრეს „ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო მოაოკრეს“ (01-202).

ჩვენი შეხედულებით, სამთავროს ეკლესიამ უფრო ადრევე განიცადა ნგრევა, კერძოდ არჩილ მეფის დრომდე, რასაც ქვემოთ მოყვანილი ცნობა ერთგვარად ხსნის.

ირკვევა აგრეთვე თუ ვისი სახელობისა იყო სამთავროს ეკლესია. VII ს დასაწყისში, ქართლის ერისთავის სტეფანოზ II დროის შესახებ თხრობისას, წყარო აღნიშნავს „ხოლო მცხეთას საეპისკოპოსოსა არნ ყოველთა სამშაბათ-



თა კრება და კსენება პირველმოწამისა სტეფანესი (01-229). ე. ი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამთავროს ეკლესია წმინდა სტეფანეს სახელობისა ყოფილა, რაც გამომხატურებას პოულობს შემდეგ ცნობაში. — V ს-ის დასაწყისში, მეფე არჩილის დროს, როგორც ჩანს ეკლესია დანგრეულია და ამიტომ „აზნაურთა სტეფან-წმინდაი აღაშენეს არაგუსა“ ზედა (03-721)

ქართლის ცხოვრება უფრო აკონკრეტებს. „მაშინ არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფან-წმიდის მცხეთას კართა ზედა არაგუსათა“ (01-140).

1965-68 წწ. მცხეთის კინოთეატრის მშენებლობის დროს გაითხარა ალიზის აგურით ნაგები გალავანი და ქალაქის კარიბჭე-შემოსასვლელი არაგვის სეობის მხრიდან. კარიბჭეს არაგვის კარი უწოდეს (07-38).

აღმოჩენილი კარიბჭე, ვინაიდან არაგვის ხეობიდან ქალაქში შესასვლელს წარმოადგენს, საესებით კანონზომიერია, მისი დაკავშირება წყაროების ცნობებთან „კართა ზედა არგუსათა“ — მით უმეტეს, რომ სამთავროს ეკლესია სწორედ აღმოჩენილი კარიბჭის მახლობლად, გალავნის გარეთ მდებარეობს. ამრიგად, წყაროების ცნობები და არქეოლოგიური გათხრები სრულ თანხმობაშია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს წყაროების მნიშვნელობას მატერიალური კულტურის შესწავლაში.

თავის მხრივ, სამთავროს ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილი უძველესი ფენები ცხადყოფენ თავდაპირველი ეკლესიის არსებობას და წყაროთა ცნობების სანდოობას.

1 „ქართლის ცხოვრება“, I.

2 „მოკცევაჲ ქართლისაჲ“.

E. Такашвили, «Описание рукописей, т. II, вып. 4, Тб., 1906—1912.

4 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963-4 წ.

5 შატბერდის კრებული 1979 წ.

6 „ქართლის ცხოვრება“ IV.

7 აღ. ბობოჩაძე. მასალები დაბა მცხეთის არქეოლოგიური რეკონსტრუქციის 1975.

არქეოლოგიური მასალები ტაშალას წმ. გიორგის ეკლესიიდან

წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს ასპინძის რაიონში, სოფ. ტაშალადან 2 კმ-ის დაშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, პატარა ღელის სათავესთან. ძველის ტერიტორია წარმოადგენს ნასვეარკუნძულის ფორმის ბორცვს, რომელსაც სამხრეთიდან ღელე ესაზღვრება, დასავლეთიდან — შშრალი ხევი, ხოლო ჩრდილოეთიდან — მთის ფერდობი.

სამხრეთით, ღელის ნაპირზე, შეინიშნება დანგრეული სათავეების ნაშთები. მთელ ტერიტორიაზე ვაფანტულია თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები. ეკლესიის მდებარეობა და სათავენი — ნაგებობების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ძველი სამონასტრო კომპლექსს უნდა წარმოადგენდეს. ამ მონახურებას 1979 წლის რესტავრაციის დროს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს.

კომპლექსის მთავარი ნაგებობის — წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესიის შესახებ, მეცნიერული გამოკვლევა არ არსებობს. თ. ბარნაველის — საქართველოს სსრ კულტურის ძეგლების სიაში ძველი ზოგადად ადრემუხა საუკუნეებით არის დათარიღებული. ნ. ჩუბინაშვილი ნაგებობის თარიღად VI საუკუნეს ასახელებს¹.


ეკლესია ნაგებია კარგად გათლილი დიდი ზომის ქვებით. წყობა პორიზონტალურია. შენობას აქვს ორი ძირითადი კარი — სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ორივე კარი არასიმეტრიულია. სადიაკვნო და სამსხვერპლო უშუალოდ ცენტრალურ საკურთხეველს უკავშირდება. სამხრეთი სტოა ორთაღიანია მრგვალი საყრდენი სვეტით. ეკლესიის გარეთა ზომები — სიგრძე — 14 მ; სიგანე აღმოსავლეთის ფასადთან — 11 მ.

1979 წ. ზაფხულში, ძველის რესტავრაციის დროს, გაიწმინდა ეკლესიის ჩრდილოეთი მინაშენი, რომელიც კაპიტალურ ნაგებობას არ წარმოადგენდა. ჩრდილოეთი მხარე მთის ფერდობის დამრეც კალთას ეუფინება და გაწმენდამდე ფერდობიდან ჩამომდილ ღორღითა და მიწით იყო ნაწილობრივ დაფარული. ასე, მაგალითად, მიწის ფენა ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 3 მ აღემატებოდა.

ღორღისა და მიწის ალების დროს ჩრდილოეთ კედლის შუა ნაწილში, ცოკოლიდან 1 მ სიმაღლეზე გამოჩნდა ნაშალი კირისა და კრამიტის ფენა. თვით ცოკოლის დონეზე დაფიქსირდა კულტურული ფენა. მასში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა შეიცავს 60 ერთეულს. მასალის უდიდესი უმრავლესობა კერამიკული ნაწარმია, სადაც დომინირებს სამეურნეო-საოჯახო ჭურჭელი. კოლექციაში აღნუსხულია აგრეთვე სამშენებლო კერამიკა, შრომის იარაღი, ბრინჯაოს ჯვარი, ქვის ნივთი. ქვემოთ განვიხილავთ თითოეულ ჯგუფს ცალ-ცალკე.

სამეურნეო-საოჯახო კერამიკა

დერგები. ჭურჭლის ეს ჯგუფი წარმოდგენილია ბრტყელძირიანი, კვრცხისებურკორპუსიანი, ბაკოდაბრტყელებული ვგზემპლარებით. კორპუსი, რო-



ტაბულა.

Таблица.

გორც წესი, შემკულია პორიზონტული, რელიეფური, ნაჭდევებიანი ქედებით. დერგების ერთი რიგი ორნამენტირებულია ნაკაწრი ღარებით. ბაკოს გარე ზედაპირები შემკულია ჭდეული ან გრეხილი რელიეფური ქედებით. ერთ მათგანზე შემორჩენილია XI ს. წარწერა: „ქ(რისტ)ე. შ(ეი)წყ(ალ)ე მ(ავ)დნე“!

თიხა, ჩვეულებრივ, მსხვილმარცვლოვანი და მდარე ხარისხისაა. გამოწვა მოყავისფრო-მონაცრისფრო ან აგურისფერია. რამოდენიმე ნიმუში ღია ვარდისფრადან ანვობირებული.

ქოთნები. ქოთნების ორი ნაირსახეობა გვაქვს: სფეროსებურტანიანი, ცილინდრულყელიანი, პირგაშლილი ჭურჭელი და დაბალი, პირვანიერი ცალყურა ქოთნები. ორივე სახეობის შემკულობა წარმოადგენს პორიზონტული ან ტალღისებური ღარების და ირიბი ჭდეებით შეხამებული ორნამენტის სხვადასხვა ვარიაციას.

ქვაბ-ქოთნების სუფები. მათ დისკოსებური ფორმა აქვთ, შუაში კი მასიური სახელური, რომელიც დილისებური თავით მთავრდება. გვხვდება რკალსახელურიანი ეგზემპლარიც. გამოწვა, ჩვეულებრივ მოყავისფროა.



სამზარეულო ჭურჭლის ჯგუფში შედის კეცები. ისინი ტლანქი მცენარეების ხასიათდება. ყველა მათგანი ხელითაა ნაძერწი. გვირგვინი მკვეთრი და უღიანი ან თოკისებური ორნამენტით. ფსკერზე გამოსახულია ჯვრის ფიგურები ან რკალები.

ცეცხლზე სადგამ ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდეს ხელით ნაძერწი, ყავისფრად გამომწვარი, ანგობირებული ბრტყელი ყური (ტაფის?).

სამეურნეო-საოჯახო კერამიკის ჯგუფს ავსებს სადღეებელი, რომელიც ყურისა და გვერდის ფრავმენტითაა შემორჩენილი. მრგვალგანვიკვეთიან ყურს შუაზე კვეთს ვერტიკალური ღარი. ყურს ზემოთ, 2,5 სმ-ის დაშორებით, ჭურჭელს გაკეთებული აქვს ნახვრეტი, რომლის გარე დიამეტრი 2,4 სმ-ია, შიდა — 1,9 სმ. თიხა მინარევებიანია, მდარე ხარისხის. გამოწვა მონაცრისფრო-აგურისფერი.

სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია სამარილეებით, დოქითა და კოჭობით.

სამარილეები ორნაირია: ხელით უხეშად ნაძერწი, ტლანქი ფორმისა და მწვანედ მოჭიქული, წელშეზნექილი ეგზემპლარი, რომელსაც ძირი შეუარებით ვიწრო და ბრტყელი აქვს, ხოლო გვირგვინი განიერი და დაკეცილი. დოქი მთლიანია. პირნისკარტიანი, სფერული კორპუსი ბრტყელი, გამოყოფილი ქუსლით ბოლოვდება. ვიწრო ყელი პირიზონტალურადაა დაღარული, ხოლო მომრგვალებული მხრები შვეული კლანდილი ხაზებითაა შემკული. თიხა კარგად განლეკილი, ხოლო კეცი მოვარდისფროა.

კოჭობი ოდნავ პირგამოღობი, დაბალყელიანია. მომრგვალებული ტანი ბრტყელი, ოდნავ დიფერენცირებული ძირით ბოლოვდება.

ჩვენი აზრით, ამავე ჯგუფს ეკუთვნის ჭურჭლის ორი ანგობირებული ქუსლდიფერენცირებული ძირი. მათ ცენტრში ოდნავი ამობურცულობა და მცირე ფოსოები აქვთ. გამოწვა მოვარდისფრო-აგურისფერია.

საყოფაცხოვრებო ხასიათის ჭურჭლების რიგში უნდა განვიხილოთ ჭრატები. გვაქვს მათი ორი სახესხვაობა. ხელით უხეშად ნაძერწი ე. წ. „გული-სებური“ ჭრატები და ფეხიანი, გვირგვინნაჭდევიანი ეგზემპლარები, რომლებიც ერთმანეთისაგან ზომებით განსხვავდება.

მასხალაში წარმოდგენილია სამშენებლო კერამიკის ნიმუშები: ღარიანი, წითლად შეღებილი და ბრტყელი, უხეშად დამუშავებული კრამიტები, რელიეფურ-ზედაპირიანი და შტამპებიანი დეკორატიული კერამიკული დეტალი (როსნელიც ჩვენ აგური გვეონია) და კერამიკული ფილა. იგი ოთხკუთხა ფორმისაა, ყალიბშია გამოყვანილი და დაკბილულია.

კოლექციაში გვაქვს ერთადერთი შრომის იარაღი — გრძელტარაიანი რკინის ნამგალი. მისი პირის სიგრძე 40 სმ-ია. ტანისა — 30 სმ, სახელურის — 7,5 სმ. საყურადღებოა ბრინჯაოს „აყვავებული“ ჯვარი. შემორჩენილია სამტანდარტე ბუნი და ოთხი სხვადასხვა ზომის თვალბუდე, ორ მათგანში მინის თვალა ჩასმული. მკლავები დაგვირგვინებულია წრეებით. აღწერილი მასხალა სამეცნიერო ლიტერატურაში, თითქმის არ არის ახასული. ჩვენი აზრით, მოპოვებული მასხალის ზუსტი თარიღის დაკონკრეტება შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იგი X-XII საუკუნეების ინტერვალში თავსდება (მსგავსი ეგზემპლარები X საუკუნემდე არაა შენისმული, ხოლო XIII საუკუნეში

შვედ ალარ გვხვდება). ამასთან, ზოგიერთი ნიუთი საშუალებას გვაძლევს ტამალას არქეოლოგიური მასალა XI საუკუნის მეორე ნახევრით დავათარილოთ; ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. წარწერა დერგის პირზე, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე, ვ. სილოვაგამ XI ს. II ნახევრით დავითარილა;

2. ბრინჯაოს წვარი, რომლის ანალოგები ცაიშა და შემოქმედში X-XI სს თარიღდება, კერძოდ შემოქმედისა XI საუკუნით¹;

3. კეცები, რომლის მსგავსი აღმოჩენილია აღაზნის ველის გორანამოხახლარ II-ის XI საუკუნის ფენაში. (მასალა ინახება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში);

4. მოჭიქული სამარილე, რომლის მრავალი პარალელი მოპოვებულია ივრისპირის ქვაბებზე და რომლებსაც გამთხრელი ბ. მჭედლიშვილი X-XI სს. ათარიღებს;

5. ფეხიან ჭრაქებს ანალოგები მოპოვება ყაზბეგის ბეთლემის X-XI სს მასალებში²;

6. ტამალას მსგავსი დერგები XII-XIII სს. ალარ გვხვდება.

თუ შევაჯამებთ იმ მონაცემებს, რომლებიც ტამალას ეკლესიის შესახებ გავაჩნია, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამონასტრო წარმოიშვა ადრეფეოდალურ ხანაში. სავარაუდოა, რომ იგი არსებობდა XI ს. 60-80-იან წლებამდე, როდესაც, შესაძლოა, მტრის მიერ განადგურდა (სელჩუკიანი სულტნის აღფარსლანის 1065 და 1068 წწ. შემოსევები), ხოლო 1088-89 წწ. დიდმა მიწისძვრებმა, როგორც ჩანს, აქ დროებით მოშალა სამონასტრო ცხოვრება. ფერდობიდან ჩამოწოლილმა ქვა-ლორღმა კი დააკონსერვა ჩრდილოეთი სათავენი.

სამონასტროს გამოცოცხლება სავარაუდოა XII-XIII სს როდესაც ეკლესია ქვის ლორფინებით გადახურეს.

ქვლის ისტორიის უკეთ გაშუქებისათვის და თარიღის დაზუსტებისათვის აუცილებელია მისი შემდგომი გაღრმავებული გამოკვლევა.

ტაბელის აღწერა:

1. დერგი, 2. კოვობი, 3-4. ქოთნები, 5. 16. 18. დერგების ორნამენტის ნიმუშები. 6. 7. დერგების პირის ნიმუშები, 8. ბრინჯაოს წვარი. 9. დოჭი, 10-11. 14. ჭრაქები, 12-13. სამარილეები. 15. ნამგალი, 17. ჭურჭლის (ტაფის) ყური, 19. კეცო, 20. ქილა, 21. ჭოჩინის ორნამენტის ნიმუში, 22-28. ზღუფები.

¹ ნ. ზუბინაშვილი. ყავახეთის ადრესაშუალო საუკუნეების კამაროვანი არქიტექტურის ძეგლები. გ. ზუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესია (თეზისები) თბ., 1974.

² Чубинашвили Г. Н. Грузинское чеканное искусство. Тб., 1959, стр. 612, таб. 5. 6.

³ ბ. მჭედლიშვილი. არქეოლოგიური მასალები ბეთლემის ქედიდან. მეცნიერება და ტექნიკა. № 1, თბ., 1981, გვ. 36-40.

ალვანური ფარდაგები „ფლანგის“ და მათი ადგილი
 ხალხების ტიპოლოგიაში

1981 წელს, თბილისობის დღეებში, ქართველმა საზოგადოებამ პირველად იხილა ერთად თავმოყრილი ფარდაგები, ანუ როგორც თვითონ ალვანელები ეძახიან, ფლანგები.

ცალკეული ალვანური ფარდაგები ადრეც გვხვდებოდა მუზეუმებში, კერძო კოლექციებში და თვით ალვანულ ოსტატებთან, მაგრამ ერთად თავმოყრილმა, თავისი „გაერთიანებული მრავალფეროვნებით“ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ვამოფენამ ცხადყო, რომ საქმე გვაქვს არა უბრალოდ მხატვრული თვითმოქმედების გამოკვლევასთან, არამედ გარკვეულ მხატვრულ მოვლენასთან, რომელსაც საქმაოდ დიდი ისტორია და მყარი ტრადიციები აქვს.

ალვანური ფარდაგები ნახატით, კოლორიტითა და ქსოვის ტექნიკის თავისებურებით განსხვავდება სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი აღმოსავლური ხალხის ყველა სახისაგან.

ზემოთ ჩამოთვლილი თვითუული ნიშანი იმდენად სახასიათოა, რომ ახლა, ვამოფენის შემდეგ, ხადაც არ უნდა ვნახო ალვანური ფლანგი, უშეცდომოდ შევძლებ მისი „სახეობის“ დადგენას. მაგრამ იმისათვის, რომ ხალხის ესათე ის ვგეფი სახეობად ჩათვალოს, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, საჭიროა, რომ მისთვის დამახასიათებელი ნახატი შეორდებოდეს, იყოს ტრადიციული და დამკვიდრებული გავრცელების ადგილას საქმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ალვანური ფარდაგები ამ პირობასაც აკმაყოფილებენ, რადგან ვამოფენაზე წარმოდგენილი ფარდაგებიდან ყველაზე ძველი ნიმუშები XVIII საუკუნის ბოლოთი და XIX საუკუნის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს.

ხალხის სადაურობის (ირანული, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, შუა აზიური თუ სხვა) დახადგენად სპეციალისტები ზემოთ ჩამოთვლილ სამ მახასიათებელს — ნახატს, კოლორიტსა და ტექნიკის თავისებურებებს მიმართავენ. იგივე ნიშნების მიხედვით ხდება მათი წარმოშობის დაზუსტება რაიონების მიხედვით მაგ. ისპაჰანი, ყარაბაღი, განჯა, ტეკე-თურქმენი და სხვა. ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთნაირი ნიშნებით გაერთიანებულ ხალხებს ეძლევათ იმ სოფლების სახელები, სადაც ისინი მოიქსოვა მაგ. „პირებედელი“ „ჯებრაელი“, „ხსნდსორესკი“ და სხვ.

ხალხების მთელ რიგ ასეთ განსაზღვრებებს შორის ჩვენ არ გვხვდება ქართული სახელები. როდესაც მებალიჩეობის შესახებ არსებულ საერთაშორისო ლიტერატურაში ნახსენებია ხალხის ისეთი ტიპები როგორცაა: „ყარაიაზი“, „ყარაჩოი“, „პორჩალუ“ — ეს საქართველოს სსრ ის სოფლები და რაიონებია, სადაც შერეული ქართული და აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს.

ჩვენთვის უცნობია საკუთრივ ქართული ნახატით შესრულებული ხაიანი ხალხები. ისინი არ გვხვდება არც სამუზეუმო კოლექციებში და არც უძვე-

ლესი ტაძრებიდან და გამოქვაბულებიდან მიიგრირებოვანი ფრაგმენტების სახით მოღწეულ ნიმუშებში. რაც შეეხება იმ შედარებით იშვიათ ნიმუშებს რომლებიც XIX საუკუნის ბოლოთი თარიღდება და რომელთა შესახებაც დანამდვილებით ვიცით, რომ ისინი ქართველი ქალების ნახელავია, ამ ხალიჩებშიც ყველგან ნახესხები, უფრო ხშირად, აზერბაიჯანული ნახატია გამოყენებული.


ყოველივე ზემოთქმული როდი უარყოფს იმ ისტორიულ ცნობებს, რომლის მიხედვითაც ძველი საქართველოდან დიდი რაოდენობით გააქონდათ სხვა დასხვა სახის ძვირფასი ქსოვილი, მათ შორის ხალიჩებიც. როდესაც ამ ცნობებს ვანვიხილავთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორიულ წარსულში საქართველო მოიცავდა მრავალ ისეთ ოლქს, რომლის მოსახლეობა, როგორც წინათ, ასევე ახლაც, ტრადიციულად ამზადებდა ხაოიან ხალიჩებს ვასაყიდად.

საქართველოში კი ყველგან და დიდი რაოდენობით ქსოვდნენ უხაო ხალიჩებს, ფარდაგებს და ისიც მხოლოდ ოჯახური საჭიროებისათვის. რამდენადაც ეს ხალიჩები ვასაყიდად არ გააქონდათ, ამიტომ ისინი უცნობი დარჩა როგორც კავკასიელი და რუსი ვაჭრებისათვის, ასევე საერთოდ საზღვარგარეთული ხალიჩების ბაზრისათვის, ევროპელი და ამერიკელი მეცნიერი მებაღეები კი თავიანთ შრომებში იყენებენ იმ მასალას, რომელსაც მათ აწვდიან ხალიჩებით მოვაჭრე ფირმები, და ამიტომ ქართული „ფარდაგი“ მათთვის სრულიად უცნობია.

საქართველოსა და მეზობელი მაკმადიანური ქვეყნების მებაღეობის მიმართულებაში არსებული სხვაობა რელიგიური და ყოფითი პირობებით იყო გამოწვეული. ახლა ამ ფაქტორების ზემოქმედებას მნიშვნელოვნად დაეკარგა ძალა, მაგრამ მე-XX საუკუნის დასაწყისში შარიატის კანონები მკაცრად ზღუდავდა მაკმადიანი ქალის თავისუფლებას, რაც შეეხება ყოფას, ვანსხვაება, ქართული და აზერბაიჯანული სახლის შიდა მოწყობილობაში, მკვეთრად თვალში ხაყემაია.

რევოლუციამდე აზერბაიჯანულ საცხოვრებელს არ აქონდა ხის იატაკი. იატაკი ან თიხატკენელი იყო ან, უკეთეს შემთხვევაში აღმოსავლური ბრტყელი კვადრატული აგურით მოფენილი. აზერბაიჯანულ საცხოვრებელში არ იღუბ ავეჯი. სადილობდნენ და ეძინათ პირდაპირ იატაკზე, ხოლო ჭურჭელს, სუფრებს, ლეიბებს და ბალიშებს ხმარების შემდეგ ინახავდნენ კედლის კარადებში „განჯინებში“. ცხოვრების ასეთი წესი იატაკის დათბობას მოითხოვდა და ამ მიზნით კედლიდან კედლამდე მთელი იატაკი ხალიჩებით იფარებოდა. (ხშირად ხალიჩა რამდენიმე ფენად იყო დაწყობილი). ტყავის ფეხსაცმელს მხოლოდ სახლიდან ვახელისას იცვამდნენ, უკან დაბრუნებისას კი მას ზღურბლთან სტოვებდნენ და ოთახში წინდების ამარა შედიოდნენ. (სწორედ ამ წესმა გამოიწვია აზერბაიჯანში ნაქსოვი წინდების — „ჯერაბების“ ფორმების და ნახატების ვასაოცარი მრავალფეროვნება. მთიან საქართველოში, კერძოდ, ხევსურეთში და თუშეთში, სადაც ოთახში ასევე ტყავიკრული, წინდებით სიარული იყო მიღებული, წინდები ასევე გამოირჩევა თავისი სილამაზით.)

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ აზერბაიჯანული სოფლის ოჯახში ქალი-სათვის, რომელიც საკმაოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, ხელსაქმე და გან-



ალვანური ფარდაგები (ფლანგები). მარცხნივ თ. შარაშვილის კოლექციიდან, მარჯვნივ კოლი-
 კაძის ოჯახიდან.

Албанские пардаги («пласи»). Слева из коллекции Т. Мирзашвили, справа из
 семейства Чоликадзе.



საკუთრებით, ხალიჩების ქსოვა, მინი შრომის გამოყენების ძირითად სფეროებს შორის წარმოადგენდა. ამას ხელს უწყობდა აზერბაიჯანული სოფლური ყოფის სპეციფიკა, რომელიც დიდი რაოდენობით ხალიჩას მოითხოვდა. გოკონებს 6-7 წლის ასაკიდან ასწავლიდნენ ხალიჩის ქსოვას და სრულწლოვანებამდე მოქსოვილი ყველა ხალიჩა მის მშთავად ითვლებოდა. ხაოიან ხალიჩას ყოფითის გარდა, საბაზრო მნიშვნელობაც ჰქონდა, ხალიჩის გაყიდვა ოჯახის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა მრავალცოლიანობის პირობებში, როცა ოჯახში რამოდენიმე ცოლი იყო, ერთი მათგანი საოჯახო საქმეს განაგებდა, ხოლო ოჯახის ყველა დანარჩენი ქალი — დედა ქალიშვილები, რძლები — ხალიჩებს ქსოვდნენ, რაც ძალან ხშირად ოჯახის გამდიდრების საშუალებად იქცეოდა.

საქართველოში სულ სხვა სურათი გვაქვს. აქ მთავარი ის არის, რომ ქალი, როგორც სახლში, ასევე გარეგან, სრული თავისუფლებით სარგებლობდა. ქალები მუშაობდნენ როგორც ბაღში, ასევე ვენახში, დადიოდნენ ბაზარში, თავისუფლად გადაიოდნენ სოფლიდანაც. ოჯახური საქმით ქართველი ქალი ვაგინდობდა მტკიცად იყო დეტვირთული, ვიდრე აზერბაიჯანელი. ამიტომ ბუნებრივია, რომ მას ხელსაქმისათვის ნაკლები დრო რჩებოდა. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ქართველი ქალები არ ქსოვდნენ საკმაოდ შრომატევად ხაოიან ხალიჩას. მძიმე ხაოიან ხალიჩას არც ქართული ოჯახის ყოფა არ მოიხსოვდა. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში საცხოვრებელ სახლს აუცილებლად ჰქონდა ზის იატაკი. ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე მრავალნაირი ავეჯი. ბარის რაიონების სოფლებში თითქმის ყველგან იყო შეგუწკოსტატი. ვასული საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც ხმარებაში იყო ძველებური ტიპის ავეჯი განიერი ტახტი რიკულებით, სხვადასხვა ფორმის სკამები და კარადები, დაბალი მაგიდები — ტაბლა და სამფეხა სკამები, სკივრები გამომცხვარი პურის შესანახად. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან კი საქართველოში შემოდის ევროპული ფორმის ავეჯი — ბუფეტები, კომოდები, ეტაჟერკენი". ავეჯის ყველა ეს სახე შეიძლება ვენახთ თბილისის ხალხური არქიტექტურისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმის ინტერიერებში. საქართველოს მთიან რაიონებში—თუშეთში, ხევსურეთში, ხევში და სხვა, სადაც დახერხილი ზის მასალის შოვნა შედარებით ძნელი იყო, ზის იატაკს არ აკეთებდნენ, მაგრამ თათხში უამრავი თვითნაკეთი ავეჯი იდგა — საწოლი, სკამი, სამამაკო სკამი, კარადა, კიღობანი ხავარძელი და ა. შ. ავეჯის გამოყენება არ ქმნიდა იატაკის დათბობის აუცილებლობას და ხაოიან ხალიჩებს არც აქ არ ხმარობდნენ. სამაგიეროდ კედლები, რომლებთანაც მიდგმული იყო საწოლები და სკამები უხვად იყო მოფენილი ფარდაგებით. ფარდავი ხაოიან ხალიჩასთან შედარებით მსუბუქია და ამიტომ კედელზე დასაკიდად უფრო გამოსადეგი. სპეციალურად ამ მიზნით იქსოვებოდა გრძელი და ვიწრო ფარდაგები, რომლებსაც ახლა (თანამედროვე ნაწარმთან მიმსგავსების გამო) იატაკზე დასაყენ ხალიჩებად მიიჩნევენ. მთის რაიონებში მიწის იატაკზე არ იყო მიღებული ფარდაგების დაგება; ეს გრძელი ფარდაგები მავრდებოდა სკამების უკან იმ ადგილას, სადაც ადამიანი კედელს ზურგით ეყრდნობოდა.

XIX საუკუნის ბოლომდე ფარდაგებს საქართველოს ყველა კუთხეში ამ-



ზადებდნენ. მაგრამ ყველა რაიონმა როდი შემოინახა ჩვენს დროშივე ქსოვის მდიდარი ტრადიციები.

სავარაუდოა, რომ ადრე ყველა გეოგრაფიულ რაიონს ჰქონდა თავისი დამახასიათებელი ნახატი, კოლორიტი და ქსოვის ტექნიკა, ე. ი. ის ნიშნები რომლებიც როგორც აღნიშნეთ ტიპის დასადგენადაა საჭირო. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, რამდენად მყარი იყო ამ რაიონებში ადგილობრივი ნახატის ტრადიციები. საქართველოს სხვადასხვა რაიონში განსხვავებული ზომის ხალიჩებს ქსოვდნენ. მაგალითად, შიდა ქართლში დამოწმებულია წესი, რომლის მიხედვითაც დედა თავის ვაჟს ქორწილის წინ უქსოვდა ფარდაგს, რომელიც ფარავდა მთელს კედელს, შემდეგ ტახტს და ტახტის წინ იატაკის ნაწილს. ამ ტახტზე ქორწილის დროს ნეფე-დედოფალი ჯდებოდა. ზოგიერთი რაიონისათვის უკვე მოხერხდა იმ ტიპური და ტრადიციული ნახატის დადგენა, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი ხალიჩების სულ რამოდენიმე ეგზემპლარი გვაქვს. ერთ-ერთი ასეთი ფარდაგი შეისყიდა თბილისის ხალხური არქიტექტურისა და ყოფის მუზეუმმა. ის შეიძლება ტიპურად ჩათვალოს ასპინძის რაიონისათვის.

შეორე, ასევე იშვიათი და საინტერესო ფშავისათვის (სოფ. მალაროსკარი), ტიპური ფარდაგი ინახება ლენინგრადის სსრკ ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმის ძველ კოლექციებში.

საქართველოსათვის უცხო ორნამენტების შემოტანამ ქსოვაში ძალიან გართულა ქართული ფარდაგების ნახატის ტრადიციული ტიპების დადგენის საქმე. XIX საუკუნის დასაწყისიდან კავკასიაში ხმარებაში შემოდის მოსკოვური, ფრანგული საპარფიუმერიო ფირმის Baudelot (ბოდლოს) ტუალეტის საპონი. რეკლამის მიზნით საპონის შესაფუთი ქაღალდის შიგნით სდებდნენ, უჯრედიან ქაღალდზე ფერადი საღებავებით დაბეჭდილ, სხვადასხვა კუთხის (რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ, რენესანსულ და სხვ.) ორნამენტის ნახატებს. ეს ნახატები სწრაფად გავრცელდა მთელ კავკასიაში და ხალიჩების და ფარდაგების ორნამენტურებაშიც მოიკიდა ფეხი.

